ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 12 აპრილი, 2023 №72 (9108) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული

## მექსიკიდან აშშ-ში შესვლის სანაცვლოდ 7 ათასს სთხოვდა



დაკავებულია თაღლითი გვ.5

# „ბიძინა ივანიშვილს სანქციებზე უფრო მეტად გაბრაზებული ხალხის ეშინია“



AFP via Getty Images



ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიცია საკუთარ როლს ვერ იაზრებს და ისინიც კომენტატორები არიან... ჩვენ თუ არ ვპატიობთ შეცდომებს ამ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნისთვის დამაზიანებელია, საზოგადოება ამ შეცდომებს არც ოპოზიციას აპატიებს“ გვ.2



გვ.3

## „მოსამართლეების დასანქცირებით სამართლიანობამ იზეიმა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საპარლამენტო ოპოზიციას კობახიძე თუ დასცინებს, ღირსები იქნებიან“

პეტრე მამრაძე: „ამერიკასთან ურთიერთობები იმიტომ გაფუჭდა, რომ „ოცნების“ წარმომადგენლებმა, ვისაც დასავლეთთან და, მაშ შორის, შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობის განვითარება ევალებოდათ, ეს ვერ გააკეთეს“



გვ.3

## „ნაცების დროს პოლიტიკური კორუფცია ყვაოდა, მოსამართლეები მაშინ რატომ არ დაასანქცირეს?!“

„დასავლეთიდან სიგნალი მივიღეთ, საქართველოს შეცდომები არ გაიმეოროთო“



გვ.4

## „რუსეთის სამხედრო დამარცხება საკმარისი არ არის. უნდა მოხდეს პუტინის დიქტატორული რეჟიმის დემონტაჟი“

## დაიბარებენ თუ არა შალვა რამიშვილს გამოკითხვაზე

რა ჩვენება მისცა ანანია გაჩეჩილაძემ



გვ.5

**2** აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა — არიან დაჭრილები და დაღუპულები

**5** რაგბის კავშირის გახმაურებული საქმე

**7** კახა კალაძე: „კვარაცხელია საქართველოში ნამდვილი გმირია“

**6** დონბასი ცეცხლშია გახვეული

1993230720223

# „ბიძინა ივანიშვილს სანქციებზე უფრო მეტად გაბრაზებული ხალხის ეშინია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



## ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიცია საკუთარ როლს ვერ იაზრებს და ისინიც კომენტატორები არიან... ჩვენ თუ არ ვპატიობთ შეცდომებს ამ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნისთვის დამაზიანებელია, საზოგადოება ამ შეცდომებს არც ოპოზიციას აპატიებს“

*— ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გასულ კვირას საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო და ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. ვნახეთ ხელისუფლების რეაქციებიც. პრემიერ-მინისტრი დასანქცირებულ მოსამართლეებს შეხვდა და განაცხადა, ვამაყობ მათით და ჩვენი სასამართლო სისტემითო. გაუჭირდათ დასკვნების გაკეთება თუ სირაქლემას პოზაში არიან?*

— პრემიერს შეუძლია ყველათი იამაყოს. მათ შორის მოსამართლეებით, რომლებიც დასანქცირებულები არიან. მათ შორის, შეუძლია იამაყოს იმითაც, რომ ჩვენ რუსეთის მეგობარ ქვეყნად განვიხილებით. სტრატეგიული პარტნიორები და მართლა მეგობრები, ათწლეულობის განმავლობაში ამ ქვეყანას ეხმარებოდნენ იმაში, რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, ფეხზე დამდგარიყო და გამართულიყო როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ ენდობიან საქართველოს ხელისუფლებას. „საამაყო“ ძალიან ბევრი აქვს, მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება არის აცდენილი დროს, მოვლენებს და ობიექტურ რეალობას. ის ცხოვრობს თავის წარმოსახვით სამყაროში, ის ირჯება მხოლოდ თავისი შემცირებული ამომრჩევლისთვის ქვეყნის შიგნით. ხოლო ქვეყნის გარეთ, ცდილობს, მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება ჰყავდეს კმაყოფილი.

*— პრემიერი საუბრობს ზეწოლაზე, შანტაჟზე, ამერიკის მხრიდან სასამართლოსთან დაკავშირებით. ცდილობენ დააშანტაჟონ და მუქარის ენით ესაუბრონ?*

— ეს არის კიდევ ერთი გამოვლინება, რომ ამით გული მოფხანონ საკუთარ ამომრჩეველს, რომელშიც ნამდვილად აღარ დარჩა პროდასავლური ამომრჩეველი და მხოლოდ მათზე თვლიან, ვისთვისაც რუსეთი არის ანი და ჰოე არსებობისა. ასე ცდილობენ, ამ შანტაჟით შეერთებული შტატები აიძულონ, რომ რაიმე ტიპის დათმობაზე წავიდნენ, რაც არის აბსოლუტურად გამორიცხული. როგორც ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფრით დაასაბუთეს, რომ შეერთებული შტატების ელჩი, საქართველოში ბიძინა ივანიშვილს ომის დაწყებას სთხოვდა და ამისი არანაირი მტკიცებულება მათ არ წარმოუდგენიათ. თუმცა უკვე ისეა მათი უპატივცემლობა შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, ისეთ ხარისხშია, რამე რომ ჰქონოდათ, ამას დაუყოვნებლივ გვაჩვენებდნენ.

*— ირაკლი კობახიძემაც ხომ თქვა, სატელეფონო ჩანაწერები მაქვსო.*

— ასე რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოგვასმენინებდნენ და ამდენ ხანს არ დააყოვნებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ელჩს მაინც მოასმენინებდნენ. ელჩი რომ თავის პოზიციას არ იცვლის, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ რეალურად არაფერი არა აქვთ და არც არაფერი არ შეუძლიათ წარმოადგინონ. არაფერი განსაკუთრებული, ეს არის სახის შენარჩუნების მცდელობა და ოთხზე დგომა რუსეთის ხელისუფლების წინაშე, რომელთანაც, როგორც ჩანს, დიდი ვალდებულებები აქვთ აღებული.

> „ჩვენ ის კი არ უნდა გვახარებდეს, რომ მორიგი სანქციები გზაშია, დაგვეწევა და ახლა ხელისუფლების სხვა შტოებს შეეხება. იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, რა ხიფათები აქვს ამას ქვეყნისთვის და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ, ყველამ ერთად, რომ ეს ხიფათები ქვეყანას თავიდან ავაცილოთ“

*— რა მოლოდინი გაქვთ, გაგრძელდება სანქციები? შესაძლოა შემდეგი ბიძინა ივანიშვილი იყოს?*

— ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სანქციები, სამწუხაროდ, აი ძალიან სამწუხაროდ, იქნება. რაც არ უნდა მიუღებელი დამოკიდებულება გვქონდეს ამ ხელისუფლების მიმართ, ეს ფაქტი ძალიან მძიმეა ქვეყნისათვის. მძიმეა იმის აღიარება, რომ შენს ქვეყანაში არის კორუმპირებული სასამართლო. გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მარტო კორუმპირებული სასამართლო კი არ გვაქვს, აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც მიჰყვება პოლიტიკურ საფლავში სასამართლო ხელისუფლებას, ძალიან მძიმე და დანაშაულებრივი ამბებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ცხადია, იქნება სანქციები, ზომიერად, დოზირებულად. ეს გაგრძელდება მანამ, სანამდე არ მივალთ იმ სასრულ წერტილამდე, როდესაც მათ, უბრალოდ, საერთოდ აღარ ექნებათ აღარანაირი ლეგიტიმაცია, იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში. ეს როგორ გაკეთდება, შეერთებული შტატების და მათი პარტნიორების გადასაწყვეტია. ამას აუცილებლად მოჰყვება ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენლების დასანქცირება, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან საქართველოში პოლიტიკური საქმეების შეკერვასა და უსამართლო განაჩენების დაყენებაში.

*— რას იტყვით ოპოზიციაზე, როგორია მათი როლი ამ სიტუაციაში? საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდნენ პარლამენტში, თუმცა ნაციონალების გამო ჩავარდა ეს საკითხი. რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? 9 აპრილის აქციამაც სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. რა როლი აქვს დღეს ოპოზიციას?*

— მძიმე საკითხია... ოპოზიციის როლზე საუბარი, მართალი გითხრათ, ცოტა რთული საკითხია. ოპოზიციის როლი ზოგადად ხომ ვიცით როგორია? განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება კონსტიტუციის ჩარჩოებიდან არის გასული. ჩვენ ვერ ვხედავთ, ოპოზიციას ჰქონდეს შესაბამისი დამოკიდებულება. ის რომ კომენტარი გააკეთო ხელისუფლების ქმედებებზე, ეს არ არის ოპოზიციის დანიშნულება. ამას ვაკეთებთ ჩვენ, პოლიტიკური მიმომხილველები, ანალიტიკოსები და სხვადასხვა სფეროს ექსპერტები. როგორც ჩანს, ოპოზიციამ ცოტა დაკარგა გააზრება საკუთარი როლის შესახებ და ისინიც არიან კომენტატორები. გადასარევი პოზაა. ახლა ხელისუფლების კრიტიკაზე იოლი არაფერი არ არის. მე შენ გეტყვი, არ გვაქვს საფუძველი თუ რა?!

*— უნდა შექმნილიყო თუ არა საგამოძიებო კომისია? ითქვა ისიც, რომ ნაციონალმა დეპუტატებმა მიზანმიმართულად შეუშალეს ხელი ამ პროცესსო.*

— მე ეჭვს ვერ შევიტან ანი წითლიძეში, რომ მან რაღაცას მიზანმიმართულად შეუშალა ხელი. ამის საფუძველი ნამდვილად არა მაქვს. მე მგონი, ეს არის კომუნიკაციის ამბავი. ის, რომ ოპოზიციას ერთმანეთთან არა აქვთ ურთიერთობა და ერთმანეთის დღის წესრიგის შესახებ წარმოდგენაც არა აქვთ. მე მხოლოდ ეს მგონია. ვერ მივცემ თავს უფლებას, ანი წითლიძეზე ვიფიქრო, რომ რამე მიზანმიმართულად გააკეთა.

*— რას იტყვით 9 აპრილის აქციაზე? რამდენად იყო ეს მათი ამომრჩევლისთვის იმედგაცრუება და კრახი ხაბეიშვილისათვის?*

— ყოველმა იმედგაცრუებამ, წესით, უნდა გააჩინოს ახალი შესაძლებლობები, თუკი შენ რეალურად გაიაზრებ, რა მდგომარეობაში იმყოფები. წესით, ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ფრთამ, კარგად უნდა გაიაზრონ, მათ აღარ აქვთ იმის ფუფუნება, რომ საკუთარი პირობები უკარნახონ დანარჩენ ოპოზიციას და მათთან ერთად, შეთანხმებული სტრატეგიით არ გამოვიდნენ, ასე ვთქვათ, საერთო პოლიტიკური დღის წესრიგის შესაქმნელად. საქმე ისაა, რომ დღეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ოპოზიციურ ფლანგზე, არა აქვს იმის ფუფუნება, რომ დამოუკიდებლად შექმნას პოლიტიკური პროცესი. რატომ, როგორ, ამას ბევრი მიზეზი აქვს და ამაზე საუბარი ჩვენ შორს წაგვიყვანს. მთავარია, რომ მოცემულობა ასეთია. ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოს ოპოზიციურმა ფლანგმა, მე ვგულისხმობ პროდასავლურ ფლანგს, ეს არის ის, რომ გაიაზრონ ერთად პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის აუცილებლობა და არ იყვნენ მუდმივად რეაგირებისა და ხელისუფლების შეცდომების კომენტირების რეჟიმში. კეთილი ინებონ, გადადონ აბსოლუტურად ყველაფერი გვერდზე, ვის ვინ მოსწონს და ვინ არ მოსწონს. ჩვენს მოწონება არ მოწონებას ვერ გადავაყოლებთ ქვეყანას. დღეს სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს. დღეს ჩვენ გავდივართ ბეწვის ხიდზე და ერთმა არასწორმა ნაბიჯმა ოპოზიციის მხრიდან, შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნის ათწლეულებით დაბრუნება იქ, საიდანაც ამდენი ხანია გამოვდივართ. საზოგადოების მხრიდანაც ძალიან დიდი პრესინგი უნდა იყოს ოპოზიციაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შევქმნათ საერთო პოლიტიკური დღის წესრიგი.

*— პროცესების როგორ განვითარებას ელით? საუბარია, რომ საკმაოდ ფრთხილი და მშიშარაცაა ივანიშვილი. ამ სანქციების შიშით მაინც შეცვლის რამეს?*

— ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილს ამ სანქციებზე უფრო მეტად ეშინია გაბრაზებული ხალხის. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად სწორად იქნება საზოგადოება ინფორმირებული, თუ რა ხიფათებს უქმნის ქვეყანას დასანქცირებული მოსამართლეების სასამართლო ხელისუფლებაში დარჩენა. ეს ძალიან კარგად უნდა გავიაზროთ.

ჩვენ ის კი არ უნდა გვახარებდეს, რომ მორიგი სანქციები გზაშია, დაგვეწევა და ახლა ხელისუფლების სხვა შტოებს შეეხება. იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, რა ხიფათები აქვს ამას ქვეყნისთვის და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ, ყველამ ერთად, რომ ეს ხიფათები ქვეყანას თავიდან ავაცილოთ. როდესაც ოპოზიცია ვერ ახერხებს ერთმანეთთან კომუნიკაციას და საგამოძიებო კომისიის შექმნა ჩაიშალა ამის გამო, ეს ძალიან მკაცრად უნდა იქნას შეფასებული საზოგადოების მხრიდან. ჩვენ თუ არ ვპატიობთ შეცდომებს ამ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნისთვის დამაზიანებელია, საზოგადოება არც ოპოზიციას აპატიებს ამ შეცდომებს. არც იმას აპატიებს, რომ თავიანთი პარტიული ინტერესები წინა პლანზე წამოწიონ და ქვეყნის ინტერესი უკან გადაწიონ. ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი და დაუშვებელი!

# აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა — არიან დაჭრილები და დაღუპულები



აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა, არიან დაჭრილები და დაღუპულები. ინფორმაციას ამის შესახებ აზერბაიჯანისა და სომხეთის თავდაცვის უწყებები ავრცელებენ.

— 11 აპრილს, სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა გორუსის რეგიონის ტეღის დასახლების მიმართულებით მდებარე პოზიციებიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ლაჩინის რეგიონის მიმართულებით მდებარე აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს, — წერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო.

მათი ცნობით, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა „შესაბამისი საპასუხო ზომები“ მიიღეს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ „სომხეთის პროვოკაციის“ შედეგად აზერბაიჯანელთა რიგებში არიან დაჭრილები და გარდაცვლილები, მაგრამ რაოდენობა არ დაუკონკრეტებიათ.

რაც შეეხება სომხურ მხარეს, სომხეთის თავდაცვის სამინისტრო წერს, რომ „აზერბაიჯანის სამხედრო ქვედანაყოფებმა ცეცხლი გაუხსნეს სომეხ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც საინჟინრო სამუშაოებს აწარმოებდნენ ტეღის დასახლების მიმართულებით“.

მათი თქმით, სომეხმა სამხედროებმა სამხედრო საპასუხო ზომები მიიღეს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სომეხ სამხედროთა შორის არიან დაჭრილები და გარდაცვლილები, მაგრამ რაოდენობა არ დაუკონკრეტებიათ.

მოგვიანებით, სომხურმა მხარემ იმავე მიმართულებაზე აზერბაიჯანი ნაღმტყორცნის გამოყენებაში დაადანაშაულა. მათი თქმით, სომხეთის შეიარაღებული ძალები შესაბამის თავდაცვით ზომებს იღებენ.

მოგვიანებით, სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომ ადგილობრივი დროით 19:55 საათისთვის ფრონტის ხაზზე ვითარება „შედარებით სტაბილური“ რჩება.

# რიკოთზე მოძრაობა ისევ აიკრძალა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 147-ე კმ-ზე მცირე ქვათაცვენის გამო, დადგა გზის გაწმენდის საჭიროება. რის გამოც, აღნიშნული გზის კმ114-კმ194 მონაკვეთზე (ახალსოფლის სატრანსპორტო კვანძი-ზესტაფონი) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით აკრძალულია.



რიკოთის უღელტეხილზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— გვსურს, გამოვეხმაუროთ სხვადასხვა მედიასაშუალებაში გასულ ინფორმაციას, თითქოს რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა რამდენიმე დღის განმავლობაში შეფერხებული იყო.

8 აპრილიდან აღნიშნულ მონაკვეთზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები საგზაო დეპარტამენტის მიერ დადგენილი რეჟიმების შესაბამისად, შეუფერხებლად უზრუნველყოფდნენ როგორც მსუბუქი, ასევე, სატვირთო ავტომობილების გადაადგილებას, მათ შორის, ამავე რეჟიმის შესაბამისად, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი სატვირთო ავტომობილები გადაადგილდებოდნენ რევერსულად, საღამოს 21:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე პერიოდში. შესაბამისად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულ მონაკვეთში მძღოლებს რამდენიმე დღე უწევთ ლოდინი, არ შეესაბამება სიმართლეს.

რიკოთის უღელტეხილზე ყველა ტიპის ავტოტრანსპორტისთვის გადაადგილება სრულად აკრძალულია.

თბილისიდან დასავლეთის და დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით გადაადგილება მსუბუქი და სამგზავრო ავტოტრანსპორტისთვის შესაძლებელია გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის გზის გავლით, შეუფერხებლად.

საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, კვლავ რჩებიან ადგილზე და ავტოტრანსპორტის გატარებას უზრუნველყოფენ საგზაო დეპარტამენტის მიერ დაწესებული რეჟიმების მიხედვით, — წერს შსს-ის სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მოსამართლეების დასანქცირებით სამართლიანობამ იზეიმა"

## ლაშა ჩხარტიშვილი: „საპარლამენტო ოპოზიციას კობახიძე თუ დასცინებს, ღირსები იქნებიან"

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, პარლამენტში ოპოზიციის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი კენჭისყრაზე, ქვორუმის არ არსების გამო, ჩავარდა, რაც ტექნიკური მიზეზით ახსნა ოპოზიციამ. რას იტყვით?***

– საპარლამენტო ოპოზიცია უკვე ძალიან სასაცილო გახდა. შარლ მიშელის დოკუმენტის თავზე გადახევის შემდეგ, ამ ხალხს პარლამენტი უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. მერე იყო ევროკავშირის გადაწყვეტილება – სტატუსზე უარი, მაშინაც უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ არც მაშინ შეიბერტყეს ყური, 12 პუნქტზე ვმუშაობთო.

ახლა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსამართლეები დაასანქცირა, რაც იყო უმთავრესი გადაწყვეტილება, რის შემდეგაც საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტი უნდა დაეტოვებინა და ქუჩაში გასულიყო, აქციები უნდა განეახლებინა, მაგრამ რა მოხდა – საგამოძიებო კომისია უნდა შევქმნათო, ესეც არ გამოუვიდათ სასაცილო მიზეზით, ოპოზიციური ხმები დააკლდათ. ღირსები იქნებიან, თუ კობახიძე დასცინებთ. ამიტომ ვამბობ, ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი, რომ არაფერი ვთქვა იმაზე, რომ ივანიშვილს ზურგს უმაგრებენ.

„ქართულ ოცნებასთან", რომელმაც ლამის მთელი ევროკავშირი „გადააგდო" და ახლა ამერიკასთან ყოყოჩობს, პროცედურული ქმედებებით რას გახდებიან?! ვის სჯერა მათი ამ ბრძოლის. ყველაზე დიდი ბრძოლა იქნება მანდატების დატოვება და ქუჩაში გასვლა, მაგრამ თბილ და რბილ სავარძლებს ვერ ელევიან, ამაშია საქმე. თან პარლამენტშიც იყვნენ, თან ქუჩაშიც, ორ სკამზე ჯდომით არაფერი არ გამოვა.

***– მოსამართლეების დასანქცირებას შეიძლება პოლიტიკოსების დასანქცირება მოყვეს?***

– რა თქმა უნდა! ეს იყო ბოლოს წინა გაფრთხილება. ეს გაფრთხილება იყო უშუალოდ ივანიშვილისთვის და მათთვის, ვინც ივანიშვილის სამსახურშია და არა ქვეყნის სამსახურში. არადა, ქართველმა ხალხმა მანდატი ქვეყნის სამსახურისთვის მისცა და არა ივანიშვილის მსახურებისთვის.

ისე, არ შემიძლია არ გამოვეხმაურო მურუსიძის დასანქცირებას. იდეალურად იყო შერჩეული მოსამართლეთა ეს ოთხეული. რა თქმა უნდა, ჩემთვის გადამწყვეტი იყო მურუსიძის



არსებობა ამ სიაში, როგორც გირგვლიანის საქმის მოსამართლის წინა ხელისუფლების დროს. ალბათ, საზოგადოებას კარგად ახსოვს, ჩვენ, უფლებადამცველებს, მაშინ რის ფასად გვიჯდებოდა ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა. არ ყოფილა დღე, რომ ირინა ენუქიძის და გირგვლიანის ოჯახის გვერდით არ ვყოფილიყავით. მაშინ მურუსიძე იყო იმ ხელისუფლების სიმბოლო, იმ უსამართლობის სიმბოლო, რომელზეც სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიილო კიდეც გადაწყვეტილება.

ეს მოსამართლეები მაშინ საზოგადოების მიერ შეფასდნენ, როგორც ჯალათი მოსამართლეები, როგორც მონა მოსამართლეები. სწორედ გირგვლიანის საქმემ გადაიყოლა წინა ხელისუფლება სხვა არაერთ მსგავს საქმესთან ერთად. მაშინ ივანიშვილი ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდა. მან ეს დაპირება ძალიან მალე დაივიწყა და მურუსიძე გვერდით დაიყენა. ეს მოხდა პირდაპირ ეთერში, როდესაც გარანტია მისცა, რომ დაიცავდა. ეს იყო ქართველი ხალხის დაცინვა. ამიტომ ვამბობ, რომ ამერიკამ ბრწყინვალედ იმუშავა. ეს იყო სამართლიანობის ზეიმი. იდეალურად იყო შერჩეული დასანქცირებულ პირთა შემადგენლობა. ამისთვის მადლობა ამერიკელ მეგობრებს. ჩვენ, ქართველი ხალხი, ძალიან დიდხანს ვიბრძოდით ამისთვის. ეს იყო ორი რეჟიმის პირობებში ბრძოლა და ეს არ იყო მარტივი ამბავი.

რაც შეეხება პოლიტიკოსების დასანქცირებას, ეს გარდაუვალად მოხდება და ამის გვირგვინი იქნება ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება თუ, რასაკვირველია, „ქართული ოცნება" ისევ ისე გააგრძელებს. თუ გააგრძელებს ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ საქართველოს პუტინის რუსეთთან პარტნიორობას ევროკავშირთან პარტნიორობისა და გაწევრიანების ნაცვლად.

იმის ნაცვლად, რომ ეს მოსამართლეები ჩუმად მოეშორებინათ, კონტრშეტევას ვხედავთ ამერიკის მისამართით. ისე გათავხედნენ, რომ უკვე ამერიკას უპირისპირდებიან. კობახიძე, პრემიერი ღარიბაშვილი, ყველა მზად არიან გადაეფარონ ამ მოსამართლეებს, ქვეყნის ინტერესები არავის არაფრად ადარდებს. ამორალურობის ზენიტში არიან უკვე.

თუ „ქართული ოცნება" ასე გააგრძელებს, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ „აგენტების კანონისთვის" ხმის მიმცემი 78-დეპუტატიც გაუყენოს ამერიკამ ამ მოსამართლეების გზას.

2024 წელს თუ კიდევ ერთხელ ეცდება ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლების მიტაცებას, მაშინ ის ნამდვილად ვერ გადაურჩება დასანქცირებას. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

# „ნაცების დროს პოლიტიკური კორუფცია ყვაოდა, მოსამართლეები მაშინ რატომ არ დაასანქცირეს?!"

## პეტრე მამრაძე: „ამერიკასთან ურთიერთობები იმიტომ გაფუჭდა, რომ „ოცნების" წარმომადგენლებმა, ვისაც დასავლეთთან და, მაშ შორის, შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობის განვითარება ევალებოდათ, ეს ვერ გააკეთეს"

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.**



***– ბატონო პეტრე, რას ნიშნავს აშშ-ის მხრიდან საქართველოს ერთი ყოფილი და სამი მოქმედი მოსამართლის დასანქცირება?***

– ერთია ამ ამბის ფორმალური მხარე, მეორე – არსებითი და ფორმალური მხარე. ფორმალური მხარე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ადგილზე აშშ-ის თანამშრომლები აკვირდებიან რა სასამართლო რეფორმის პროცესს, რომელშიც ჩართულია ამერიკული მხარე (როგორც საქართველოს პარტნიორი ეხმარება), გარკვეულ პროგრამას ახორციელებს და ვთქვათ, ხედავს, რომ რამდენიმე ადამიანი ამ პროცესს ხელს უშლის, ვთქვათ, თავისი კორუფციული, პოლიტიკური თუ მატერიალური კორუფციის გამო.

***– 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე, წლების განმავლობაში, ვერ ხედავდნენ ამ ადამიანების ხელისშემშლელ როლს?***

– ამაზე გადავალთ, როცა არსებით მხარეზე ვილაპარაკებთ. თუნდაც იმაზე, რომ ერთი ადამიანი 6 წელია სასამართლო სისტემაში აღარ არის. ვთქვათ, აკვირდებიან. შეიძლება ეს ადამიანი არც იყოს სასამართლო სისტემაში, მაგრამ იმდენად გავლენიანი იყოს თავისი ფულით, ავტორიტეტით, რომ ხელს უშლიდეს.

აკვირდებიან და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საჭიროა ასეთი ნაბიჯის გადადგმა – სანქცია მხოლოდ ოთხ ადამიანზე და მათი ოჯახის წევრებზე. მათ ვიზას არ მივცემთ, ამერიკაში არ შემოვუშვებთ, რაც ამერიკის კანონის შესაბამისია.

არაფორმალურ, არსებით და პოლიტიკურ მდგენელზე კი ბევრი რამის თქმა შეიძლება.

***– კერძოდ?***

– პირველი – სააკაშვილის სადისტური სისტემის შესახებ, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიოს ცნობილი მოღვაწეები დასავლეთში, მათ შორის, ამერიკაში, დოკუმენტურად წერდნენ იმ მასშტაბურ დანაშაულზე, ადამიანის უფლებების ხელყოფაზე, რაც ხდებოდა საქართველოში, რასაც აკეთებდნენ თვითონ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვები.

ამჟამად ამერიკის ელჩი დეგნანი აცხადებს, რომ არავითარი მტკიცებულებების წარმოდგენას არც ვაპირებთ, რადგან ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ჩვენი კანონმდებლობით ვმოქმედებთ და მტკიცებულებებს არ წარმოვადგენთო. რა საჭიროა მტკიცებულებები, – ამბობს ელჩი დეგნანი, – როდესაც ყველაფერი ისედაც ცნობილია, ყველაფერი საჯარო სივრცეში დევსო.

***– ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში ოფიციალური პირები მათ ეუბნებოდნენ, მოსამართლეებისთვის ხელი არ ეხლოთ. ეს ჩვენ ადრეც გვსმენია. თუ მაშინ ასეთი პოზიცია ჰქონდათ, ახლა რატომ შეიცვალა?***

– ღარიბაშვილს ვუსმენდი და ნამდვილად არ ვიცი, რა იგულისხმება, მაგრამ ესეც არ მიკვირს, მინდა ძირითადი, ძალიან არსებითი რამ ვთქვა – ელჩი დეგნანი ამბობს, ყველაფერი საჯარო სივრცეში დევსო, ამ დროს ჩვენ, ყველანი (თქვენ, როგორც ჟურნალისტი, მე, როგორც პოლიტიკოსი, მოქალაქეები, სხვები) საჯარო სივრცეს ვაკვირდებით და ვხედავთ, რომ საჯარო სივრცეში არც ერთი ფაქტი და მტკიცებულება ამ ადამიანების თუ სხვების შესახებ არ დადებულა. იყო მხოლოდ ე.წ. სტიგმატიზაცია, იარლიყის მიკერება: კლანი, კლანი!

***– თუმცა, ვიცით ევროსასამართლოში საქართველოს წაგებული საქმეები სააკაშვილისდროინდელ სასამართლოში განხილულ საქმეებზე შეტანილ საჩივრებზე, რომელთა შორის, მაგალითად, მურუსიძის განხილული საქმეც იყო.***

– ამ საკითხზე გადავალთ. როდესაც მათ მიმართეს, სასამართლოს თუ სხვა მხრიდან, კი, მაგრამ, კლანს რომ უწოდებთ, ფაქტები სად არისო, არც ერთი ფაქტი არ დაუდვიათ. მოიყვანეთ ერთი პროცესი მაინც, რომლის თაობაზეც შენიშვნები გაქვთო, – ეუბნებოდნენ არასამთავრობოებს და პოლიტიკანებს, რომლებიც ყვიროდნენ: კლანია და უსამართლო სასამართლოაო, არც ერთი შემთხვევა არ მოიყვანეს.

***– მე პირადად ბევრჯერ დამიწერია მოსამართლეებზე, მაგალითად, ჩინჩალაძე, მურუსიძესა და სხვებზე, ვინც სააკაშვილის სასამართლოში წამყვანი ფიგურები გახლდნენ და ცნობილ საქმეებზე განაჩენები გამოჰქონდათ. რომ მიეთითებინათ, იმ ცნობილი საქმეების გამო დასანქცირდნენო, მაშინ?***

– 10 წელია, რაც „ოცნება" ხელისუფლებაშია, ახლა ეს რომ ეთქვათ, კურიოზული იქნებოდა, სასაცილოც აღარ იქნებოდა, არამედ – სუპერკომიკური, თუ ამერიკის საელჩოს ახლა აზრად მოუვიდოდა, ეს მოსამართლეები მაშინ რომ მუშაობდნენ, ამიტომ ვასანქცირებთო.

სხვა რამეს ვამბობ: 10 წელიწადში ქართული სასამართლოს რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯერ კიდევ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, სტრასბურის სასამართლომ სააკაშვილის სისტემას განაჩენი გამოუტანა. სტრასბურის სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოში ხელისუფლების სამივე შტო ერთ მუშტად შეკრულია იმისათვის, რომ დანაშაული დაფაროს.

***– დიახ, ასეთი დასკვნა გირგვლიანის საქმეზე იყო.***

– ნაცვლად იმისა, სამივე შტო ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, საქმის გახსნისთვის მუშაობდეს და დამნაშავე კანონის შესაბამისად დაისაჯოს, ესენი დანაშაულის დაფარვისთვის მუშაობდნენო. 2012 წლის შემდეგ მსგავსი არაფერია.

სააკაშვილის პერიოდში ყველგან იწერებოდა, რომ სასამართლო პროკურატურის ერთი უმწეო, ყველაზე ნაკლებად ავტორიტეტული ფილიალიო. ე.ი. ყურადღებას არავინ რომ არ აქცევს ისეთი ფილიალია შიგნით პროკურატურაში და ნებისმიერი პროკურორი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე თუნდაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის პროკურორები პირდაპირ ეუბნებიან, რა გააკეთონ, რასაც პირდაპირ აკეთებენ.

წარმოიდგინეთ, მაშინ, როდესაც საჭირო ინფორმაცია და დასკვნები იდებოდა სტრასბურის სასამართლოში, ევროპის საბჭოში, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის, თომას ჰამერბერგის (ნობელის პრემიის ლაურეატის) დოკუმენტებსა და ფაქტებზე დაფუძნებით, სააკაშვილის სადისტური სისტემის შესახებ, ყველგან აღნიშნული იყო, რომ საქართველოში ყველგან სასამართლო არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა, ანუ სასამართლო მორჩილი ინსტრუმენტია.

მაშინ საქართველოს სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენები 99%-ზე მეტი იყო, გამამართლებელი განაჩენები კი, 0,1%-ს შეადგენდა, ანუ ფაქტობრივად, ნულამდე იყო დაყვანილი, მაშინ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს არც ერთი მოსამართლე არ დაუსანქცირებია.

ახლა, როდესაც საქართველოს მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, ვიდრე ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნების, ახლა ასანქცირებენ?

***– ახლა დაკონკრეტებულია, რომ ქართველ მოსამართლეებს კორუფციის გამო ასანქცირებენ.***

– პოლიტიკური კორუფცია იყო, როდესაც სტრასბურში ჩასულები (მოსამართლეები თუ ვინც იყვნენ) გაჰკიოდნენ, სასამართლოში ყველაფერი კარგად არისო. ტყუოდნენ. ეს იყო პოლიტიკური კორუფცია. როდესაც პროკურორი ეუბნება მოსამართლეს, ამ საქმეზე ასეთ განაჩენს გამოიტანო, რაც სააკაშვილის პერიოდში ხდებოდა (ფულზე ლაპარაკი კი არ არის), კორუფციაა, რადგან მოსამართლეს უფლება არ აქვს, ვინმეს დაემორჩილოს.

როცა მოსამართლე პროკურორის დავალებას ასრულებს, იქ პროკურორი მას მერე ამაში ფულს კი არ უხდის, არამედ სულ სხვა ბერკეტებია. ამას პოლიტიკური კორუფცია ჰქვია. ნაცების დროს პოლიტიკური კორუფცია რომ ყვაოდა, ამას ისეთი კომპეტენტური ორგანოები ამტკიცებდნენ, რომ მეტი არ არსებობს, მაგრამ მაშინ არ დაუსანქცირებიათ.

მახსოვს, სააკაშვილის მმართველობის დროს ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა ლინკოლნ მიტჩელმა და ალექსანდრე ქოლმა დაწერეს, მეგობრებს ასე არ უნდა მოექცეო. წერდნენ, რომ პრეზიდენტ ბუშის უდიდესი შეცდომა იყო, როცა მან გადაწყვიტა და განაცხადა, ჩვენთვის საქართველო მიხეილ სააკაშვილია, თუ საქართველოს ვეხმარებით, ეს დახმარება მიხეილ სააკაშვილს ჩავაბაროთ, მან უკეთესად იცის, ეს დახმარება როგორ მოიხმაროსო.

ნაცვლად იმისა, ამერიკის დახმარება სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მასმედიის განვითარებას მოხმარებოდა, მაშინ ამერიკის თანხები სააკაშვილს ბარდებოდა, რაც პირდაპირ დანაშაულებრივ რეჟიმს აძლიერებდა. ბუშის დროს ამერიკა სააკაშვილს ასე ეხმარებოდა.

ახლა კელიმ განაცხადა, არავითარ მტკიცებულებებს არ წარმოგიდგენთო, მაგრამ პირველ ფაზაში ელჩმა თქვა, სტრატეგიული პარტნიორები ვართ, 30 წელზე მეტია ჩვენი ურთიერთობა დინამიურად ვითარდება და ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორები გავხდითო.

კი, მაგრამ, სტრატეგიულ პარტნიორს, როგორც კი ინფორმაცია შემოგივა, რომელიც შენთვის დამაჯერებელია, მინისტრზე იქნება, მინისტრის მოადგილეზე თუ მოსამართლეზე (რომ რაღაც ჩაიდინა), პირველ რიგში, კონფიდენციურად, ყოველგვარი გახმაურების გარეშე, პარტნიორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ან გენპროკურორს არ უნდა დაელაპარაკო?

მათ უნდა უთხრა: ჩვენ ასეთი ინფორმაცია მოვიპოვეთ, ეს თქვენთვის უდავოდ საინტერესო იქნება. ჩვენი ინფორმაციის შესაბამისად, ამ ადამიანმა ესა და ეს ჩაიდინაო. შევარდნაძის დროს (ჩემ დროს) მსგავსი რამ ყოფილა. მადლობლები ვიყავით. რასაც გვეუბნებოდნენ, ყოველთვის მართლდებოდა.

***– რით არის გამოწვეული ის, რომ წინასწარ, კონფიდენციური გაფრთხილების გარეშე, საჯაროდ გამოაცხადეს მოსამართლეების დასანქცირების შესახებ? იმით ხომ არა, რომ ბლინკენის განცხადებამდე 4 დღით ადრე, ამერიკის მოქალაქე საქართველოში არ შემოუშვეს, რომელსაც ნაცების მიერ ორგანიზებული ლექციები უნდა ჩაეტარებინათ?***

– არა მგონია. ასე არ ხდება ხოლმე, ვილაც მოქალაქის გამო. ამერიკის ვიზაზე საქართველოს რამდენ მოქალაქეს უთხრეს უარი. აქ მე სხვა რამეს ვხედავ.

***– რას ხედავთ?***

– უკვე დიდი ხანია განცხადებების დონე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსეთის სამხედრო დამარცხება საკმარისი არ არის. უნდა მოხდეს პუტინის დიქტატორული რეჟიმის დემონტაჟი“

## „დასავლეთიდან სიგნალი მივიღეთ, საქართველოს შეცდომები არ გაიმეოროთო“

მარიამ მჭედლიშვილი

**მსოფლიო უკრაინის ფრონტზე გადამწყვეტი მოქმედებების მოლოდინშია. უკრაინელი გენერალ-ლეიტენანტი ვალერი კონდრატიუკი აღნიშნავს, რომ უკრაინის გამარჯვება მთელი მსოფლიოს გამარჯვება იქნება. ვალერი კონდრატიუკს უკრაინული მედია ესაუბრა.**

***— რამდენად დიდია იმის შესაძლებლობა, რომ იმის შემდეგ პუტინი ხელისუფლებაში დარჩეს?***

— ამ შემთხვევაში ჩვენ მუდმივი რისკის წინაშე აღმოვჩნდებით. იქნება გადადებული ომი. უკრაინის სრული გამარჯვება ასე ჟღერს: „პუტინის რეჟიმის დამარცხება, მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილება“.

***— როგორი სცენარი განვითარდება? უკრაინის შეიარაღებული ძალები გადიან 1991 წლის საზღვრამდე. შემდეგ რა იქნება?***

— რუსეთის სამხედრო დამარცხება საკმარისი არ არის. პუტინს შეუძლია რუსეთის მოსახლეობას ყველაფერი თავისებურად განუმარტოს. უკრაინის უსაფრთხოება უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ფართო ფორმატში. უნდა მოხდეს ამ დიქტატორული რეჟიმის დემონტაჟი. ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ჩვენ ამაზე წინასწარ უნდა ვიფიქროთ.

***— თქვენი აზრით, რომელი მოვლენა გამოიწვევს პუტინის რეჟიმის დაშლას?***



— მის დამქაშებს მასთან ერთად უნდოდათ ქვეყნის ძარცვა. ამ ხალხს სანქციების მიღებაზე ნამდვილად არ მოუწერია ხელი. არც პერსპექტივების დაკარგვაზე. ახლა ეს ადამიანები ფუსფუსებენ, თავის ქონებას ნათესავებზე აფორმებენ. მათ ესმით, რომ პუტინი სამხედრო დამნაშავეა და მასთან ერთად მომავალი არ ექნებათ.

***— უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსეი დანილოვმა გამოთქვა აზრი, რომ რუსეთი სამშვიდ წელიწადში დაიშლება. ეთანხმებით?***

— კონკრეტული თარიღების დასახელებისთვის მზად არა ვარ. რუსეთის დაშლისათვის არ კმარა რუსეთის ტერიტორიებისა და მათი ლიდერების თვითშეგნება. ყველგან ბატონობდა პოლიციური სახელმწიფო, რომელიც იცავდა ადამიანებს, რომლებსაც ავტორიტეტი ჰქონდათ. ახალი ლიდერების გაჩენას დრო სჭირდება.

***— ყირიმის შენარჩუნების (2014 წელს) შანსი თუ ჰქონდა უკრაინას?***

— როცა „მწვანე კაცუნებმა“ ყირიმში რეფერენდუმის შესახებ განაცხადეს, ჩვენ წინააღმდეგობის გაწევას ვცდილობდით. არაფერი გამოვიდა. საპროტესტო აქციები, რომლებიც იმართებოდა, თურმე, დადგმული ყოფილა. შემდეგ გავიგეთ, რომ „პროტესტის“ მონაწილეები იყვნენ სევასტოპოლიდან მოყვანილი საზღვაო ჯარის ასეულის წარმომადგენლები. შემდეგ მოხდა სამხედრო დაპყრობა, ტექნიკის გადმოტანა და არმიის გადმოსროლა. ამას უკრაინის შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმი ვერ გააჩერებდა.

დასავლელი პარტნიორებისაგან სიგნალიც მივიღე — საქართველოს შეცდომები არ გაიმეოროთო. „საქართველოს შეცდომა“ იყო ის, რომ სააკაშვილი ცდილობდა მოეხდინა შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზება (რუსეთის ჯარების მიმართ 2008 წელს) და ამის შედეგად პუტინი თბილისამდე მივიდა. ქართველები სასწაულმა გადაარჩინა. „თუ რუსების პროვოცირებას ასე მოახდენთ, იანუკოვიჩს დაგიბრუნებენო“ — გვეუბნებოდნენ.

***— პუტინს 2014 წელს კიევში შეჭრისა და იანუკოვიჩის დაბრუნების სცენარი ჰქონდა დაგეგმილი?***

— ამგვარი სცენარის განვითარების შესაძლებლობა საკმაოდ მაღალი იყო. ჩვენ წინააღმდეგობის გაწევის შანსი არ გვქონდა. ეს იქნებოდა სამოქალაქო ომი.

***— პუტინისთვის ყირიმის დაპყრობას რა აზრი აქვს?***

— კრემლისათვის ეს არა მარტო დიდებისა და წარმატების სიმბოლოა. ამას აქვს მეორე მხარეც: იწურებოდა რუსეთის ფლოტის ყოფნის ვადა და უკრაინა არ აპირებდა შავი ზღვის ფლოტის ბაზირების ვადის გაგრძელებას. რუსეთის ფედერაციას მოუწევდა ამ ფლოტის გაყვანა. პუტინს ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაეჭრა.

***— უკრაინის გამარჯვების რომელ სცენარს ხედავთ?***

— რუსეთს მთლიანად ჩაუვარდა ზამთარში შეტევის მცდელობები. სუროვიკინის შეცვლა და ქვეყნის სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანაც ამაო გამოდგა.

უკრაინას ამჟამად დაუგროვდა გარკვეული რეზერვები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის ტერიტორიების სასწრაფოდ გასათავისუფლებლად.

გადავჭრით სახმელეთო დერეფანს, გავანადგურებთ ყირიმის ხიდს, დავსვამთ მათ (რუსეთის არმიას) ლოჯისტიკურ დიეტაზე და ისინი თვითონ გადმოფენენ თეთრ ბაირალს.

***— უკრაინული კონტრშეტევის დასაწყისისთვის საკმაო რაოდენობის სტრატეგიული იარაღი თუ გვექნება?***

— დღეს მსოფლიო აცნობიერებს, რომ პუტინი ახალი ჰიტლერია და ის უნდა დაისაჯოს. უკრაინის გამარჯვება — მთელი მსოფლიოს გამარჯვებაა.

# საქართველო ეროვნული სტენდით ლონდონის წიგნის ბაზრობაზე წარდგება

18-20 აპრილს საქართველო ეროვნული სტენდით ლონდონის წიგნის ბაზრობაზე წარდგება.

ჩვენი ქვეყანა ლონდონის წიგნის ბაზრობაზე უკვე მე-9-ედ იღებს მონაწილეობას და ტრადიციულად, წიგნის ბრიტანულ ბაზარზე ქართველი ავტორებისა და გამომცემლების პოპულარიზაციას ემსახურება. ლონდონის წიგნის ბაზრობაზე 4 ქართველი გამომცემელი მიიღებს მონაწილეობას: გამომცემლობა ინტელექტი, პალიტრა ელი, სულაკაურის გამომცემლობა და პოლინომიალი.

საქართველოს ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება ახალი ქართული გამოცემები, თარგმანები, ასევე ქართველი გამომცემლების, მწერალთა სახლისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ მომზადებული კატალოგები. დამთვალიერებლებს სტენდზე 2016-2020 წლების ქართული წიგნის ბაზრის კვლევის გაცნობაც შეეძლებათ.

ლონდონის წიგნის ბაზრობის ფარგლებში, 20 აპრილს, გამომცემლობა ინტელექტი, მწერალთა სახლთან და ევროკავშირის ლიტერატურულ პრემიასთან თანამშრომლობით, გამართავს ღონისძიებას „აღმოსავლეთ ევროპის დეკოლონიზაცია: თარგმანში ნაპოვნი“. ღონისძიებას გაუძღვებიან პროფესორი ოლჰა მუხა, საერთაშორისო პენ ცენტრის კონგრესის, კომიტეტებისა და ახალი ცენტრების მენეჯერი; ივა ფეზუაშვილი, მწერალი, საქართველოს პენ ცენტრის პრეზიდენტი; ტანია თუმა, საერთაშორისო პენ ცენტრის საბჭოს წევრი, სლოვენიის პენ ცენტრის პრეზიდენტი; ნინა მიურეი, მთარგმნელი. ღონისძიება იმართება ინგლისის პენ ცენტრის, ბრიტანეთის საბჭოს და პლატფორმა „ლიტერატურა საზღვრებს მიღმა“ პარტნიორობით.

სპიკერები განიხილავენ ბალკანეთის, საქართველოსა და უკრაინის გამოცდილებას, წარადგენენ დეკოლონიზაციის პრაქტიკის მაგალითებს — მწერლობის სპეციფიკას, ენობრივ პრაქტიკას და განიხილავენ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს ავტორები და მთარგმნელები დგანან.

ლონდონის წიგნის ბაზრობა 1971 წლიდან ყოველწლიურად იმართება და ფრანკფურტის შემდეგ, წიგნის ყველაზე მასშტაბურ ბაზრობად ითვლება. ის აერთიანებს 25 ათასზე მეტ გამომცემელს, წიგნის გამავრცელებელს, ლიტერატურულ აგენტსა თუ მედიის წარმომადგენელს და ხელს უწყობს საგამომცემლო სფეროს განვითარებას, საავტორო უფლებების ყიდვა-გაყიდვის პროცესს, სხვადასხვა ქვეყნების კულტურების დაახლოებას და ინტეგრაციას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „ნაცების დროს პოლიტიკური კორუფცია ყვაოდა, მოსამართლეები მაშინ რატომ არ დაასანქცირეს?!“

ზე ურთიერთობა ნახდა. ჯერ კიდევ წლების წინ, შეერთებული შტატების გავლენიანმა პირებმა, ზოგიერთმა სენატორმა და კონგრესმენმა პირდაპირ დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რასაც ნაცები ლაპარაკობენ.

***— რას ლაპარაკობენ?***

— ლაპარაკობენ, რომ საქართველოში ყველაფერს ოლიგარქი ივანიშვილი მართავს. თანაც, მათი გაგებით, ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, საქართველოში პრორუსულ პოლიტიკას ატარებს, ანუ ეს ავტორიტარული რეჟიმია.

***— 2012 წელს არ იყო რუსი ოლიგარქი, ან მანამდე, როცა სააკაშვილის რეჟიმს აფინანსებდა? როგორ დავიჯერო, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში ისე მოვიდა, ოფიციალურ ამერიკასთან კონტაქტი არ ჰქონია? მახსოვს, ივანიშვილი დასავლეთის ქვეყნების ელჩებს კვირაში ერთხელ მაინც თავისთან, ოფისში იწვევდა.***

— 2012 წლის ზაფხულში საქართველოში მაკკეინი ჩამოვიდა, როდესაც უკვე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა და ივანიშვილის „ოცნება“ უკვე არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოდა, მაშინ სააკაშვილი შეხვდა მაკკეინს, მაშინ აჩუქა ის ცნობილი პისტოლეტი. მაშინ მაკკეინმა თქვა, რომ ამერიკელებმა შეამოწმეს, ივანიშვილი არავითარი რუსი ოლიგარქი არ არისო.

**„2012 წლის ზაფხულში საქართველოში მაკკეინი ჩამოვიდა, როდესაც უკვე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა და ივანიშვილის „ოცნება“ უკვე არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოდა, მაშინ სააკაშვილი შეხვდა მაკკეინს, მაშინ აჩუქა ის ცნობილი პისტოლეტი. მაშინ მაკკეინმა თქვა, რომ ამერიკელებმა შეამოწმეს, ივანიშვილი არავითარი რუსი ოლიგარქი არ არისო“**

მანამდე, ივანიშვილის ფონდიდან არა მარტო ჯამაგირები გადაუხადეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს, მათ შორის, მეც მიხდიდნენ (1.000 დოლარის ეკვივალენტი ლარში), არამედ რეფორმებიც ჩაატარეს. ივანიშვილის ფონდიდან დაფინანსდა საბაჟოს, პოლიციის, შს სამინისტროს, ჯარის და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმები, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ მართლა სანიმუშოდ შეფასდა.

ამ რეფორმების ფული ნაცხელისუფლებას აღებული და დახარჯული ჰქონდა. ამ ადამიანებმა იქიდან რამდენი მიითვისეს, ცალკე თემაა. ამის შემდეგ ამბობენ, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, ხოლო მისი ფული, რუსული.

ეგ კი არა, 2007 წელს ბიძინა ივანიშვილს ჭკუა ჰკითხეს, როდესაც ცხინვალში სამხედრო ძალებით შეჭრას აპირებდნენ და ივანიშვილმა გადაათქმევინა, მაშინ იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა. ბოლო სიტყვა მას მისცეს. მერაბიშვილის თხოვნით, ივანიშვილი მერაბიშვილს, სააკაშვილს და ბოკერიას შეხვდა და საათობით უმტკიცებდა, რომ ცხინვალში შესვლა არ შეიძლებოდა.

შემდეგ, 2011 წელს, ვანიჩკა მერაბიშვილმა მიშას უთხრა: მიშა, ახლა ივანიშვილს ბოლომდე გაგიტისკავ (მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი და იქ ეს ფრაზა ძალიან ჟღერდა) ისე, როგორც ბადრი პატარკაციშვილი ბოლომდე გაგიტისკეო.

ამის გამო ივანიშვილის ბიზნესცენტრში მივიდა ამერიკის ელჩი ჯონ ბასი და 18 ელჩი (ყველა ნატოსა და ევროგაერთიანების ქვეყნების) მიიყვანა. ბიზნესცენტრში დასხა. ის დროა, როცა უკვე „ქართუ ბანკს“ აკოტრებენ და იქ ხალხი რიგში დგას. ივანიშვილის დაცვას იმ დღეს იარაღი ჩამოართვეს, ლამის შუქი და წყალი გამოურთეს. ყველამ ვიცოდით, რომ წუთი-წუთზე ივანიშვილის ბიზნესცენტრში შევარდებოდნენ (როგორც „იმედში“ შევარდნენ) და ყველაფერს დალეწავდნენ.

ამ დროს ჯონ ბასი ელჩებთან ერთად მიდის და იყო ხელის ჩამორთმევა, რომელსაც შემდეგ უცხოეთში მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ხელის ჩამორთმევა უწოდეს. ელჩები ივანიშვილის ბიზნესცენტრში ისხდნენ მანამ, სანამ სააკაშვილისაგან გარანტია არ მივიდა, რომ ბიზნესცენტრს ხელს არავინ ახლებდა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნების მეორე დღეს სწორედ სენატორები რიში და შაჰინი შევიდნენ მიშასთან (ამ დროს უკვე ამერიკის ახალი ელჩი ნორლანდი იყო) და უთხრეს, თუ არ აღიარებ შენი პარტიის დამარცხებას, გამოვალთ და ვიტყვით, რომ საქართველოში ძალაუფლება უზურპირებულია შენი და შენი ჯგუფის მიერო.

***— ახლა რა შეიცვალა, ურთიერთობები რატომ გაფუჭდა?***

— ურთიერთობები იმიტომ გაფუჭდა, „ოცნების“ წარმომადგენლებმა, ვისაც დასავლეთთან და, მაშ შორის, შეერთებულ შტატებთან კარგი, ინტენსიური ურთიერთობის განვითარება და გაღრმავება ევალებოდა, ეს ვერ გააკეთეს. ცნობილი ამერიკელი დიპლომატები რომ ჩამოდიოდნენ, მეკითხებოდნენ, სამი პიჯაკის გამო, მიშა რატომ დაიჭირესო, 5 წელი გადის და კიდევ არ იციან, რომ ეს „პიჯაკების საქმე“ კი არა, 4,5 მილიონი ლარის გაფლანგვაა. ტრამპს 130 ათასი დოლარის გამო ასამართლებენ.

***— არსებულ სიტუაციაში ხელისუფლება როგორ უნდა მოიქცეს?***

— ხელისუფლება უნდა მოიქცეს მტკიცედ.

***— ღარიბაშვილმა თქვა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის მომხრეა.***

— სასამართლოს დამოუკიდებლობის მომხრე არიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი და ჩვენი ქვეყნის კანონის უზენაესობის საკითხი, არაბუნებრივად აღემატება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ურთიერთკავშირშია. ამერიკაში კი არიან მეცნიერები, რომლებსაც კარგად ესმით, რომ არ შეიძლება იმაზე მეტი მოსთხოვო ქვეყანას, ვიდრე მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას იძლევა.

***— რა ბედი ელის საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს, გამოსწორდება?***

— ეს ბევრადაა დამოკიდებული, პირველ რიგში, საქართველოს მთავრობის მოქმედებაზე. მთავრობამ უნდა იმოქმედოს ძალიან ფრთხილად, ღირსეულად და მტკიცედ. ამავდროულად, საერთოდ, თავი დაანებოს ამერიკის ღია კრიტიკას და პრეტენზიებს. რაც „ხალხის ძალისაგან“ ისმოდა.

***— „ხალხის ძალამ“ ხომ არ გააფუჭა ურთიერთობები?***

— ყველაფერმა ერთად. ვისაც კი შეხება აქვს საქართველოსთან, ევროპელი იქნება თუ ამერიკელი, ვერავის დაარწმუნებ, რომ „ხალხის ძალა“ მოქმედებდა „ოცნების“ ლიდერების დავალების გარეშე. ან ივანიშვილს რომ არ დაევალებინა, ეს ძალა, საერთოდ, გაჩნდებოდაო?!

***— როგორც ცნობილია, კელი დეგნანი მიდის. როგორი ელჩი იყო?***

— კელი დეგნანი ძალიან კარგი, საუკეთესო ელჩი იყო და სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებებს ასრულებდა. ბაიდენის ხელისუფლებაში ბლინკენის მოადგილედ ვიქტორია ნურლანდი რომ დაინიშნა, ქალი, რომელმაც ამერიკაში ქართველ დიპლომატებს უთხრა, მიშა სააკაშვილი ჩემი პირადი მეგობარიაო, მაშინ ვთქვი, მითხარ, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

მთელ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციები წერდნენ, სააკაშვილს რა აქვს ჩადენილი, მათ შორის, სტრასბურის სასამართლო, თომას ჰამერბერგი და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ანგარიშებში წერდა, რომ საშინელება ხდებოდა, ამის შემდეგ გიღირს, რომ მიშა შენი მეგობარია?!

***— ახალი ელჩის ჩამოსვლა, ურთიერთობაში გადატვირთვას გამოიწვევს?***

— ელჩის შეცვლა გადატვირთვას არ იწვევს. გადატვირთვას იწვევს, როდესაც კრიტიკულ დონეზე სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მოინდომებს. ბლინკენს რომ ჰკითხო, გეტყვის, ცერცვაძე ვინ არის? ცხადია, არა.

***— ეს საკითხი ხელს შეგვიშლის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში?***

— არსებობს ნაცების მიერ მოფიქრებული სქემა, ნაცები თავის ლობისტებთან ინტენსიურად მუშაობენ (ნაცების ქვეშ მთლიანად დესტრუქციულ ოპოზიციას ვგულისხმობ) და ლობისტებს ეუბნებიან, თუ როგორმე მივაღწევთ იმას, რომ ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მისცემენ, ხალხი, ახალგაზრდობა სპონტანურად იხუვლებს, ჩვენ წინ დავუდგებით, ვუხელმძღვანელებთ და პრორუს ხელისუფლებას ეგრევე გავისტუმრებთო.

ამაში, უნდოდათ თუ არა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 4 ადამიანის დასანქცირებით, დიდი აგური ჩადო, რადგან ეს პოლიტიკური ჟღერადობის აქციაა.

ხელისუფლებამ ხაზგასმით უნდა განაცხადოს, რომ ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები და სტრატეგიულ პარტნიორებად ვრჩებით, აშკარად გაუგებრობას აქვს ადგილი, რაც დასანანია (დარჩიაშვილის წერილი ძალიან კარგია), ნახეთ, ეს გავაკეთეთ და ამდენ ქვეყანას ვუსწრებთ, მათ შორის, კორუფციის ინდექსით მაშინ, როდესაც საშინელი სასამართლო ჩავიბარეთ. მადლობელი დაგრჩებით თუ ინფორმაციას თუნდაც კონფიდენციური ფორმით გადმოგვცემთ. მაშინვე გამოძიებას ჩავატარებთო, ანუ საქმით ვამტკიცებთ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება (ხალხიც მხარს გვიჭერს) რეფორმების გზას მტკიცედ ვადგავართო.

# მექსიკიდან აშშ-ში შესვლის სანაცვლოდ 7 ათასს სთხოვდა — დაკავებულია თაღლითი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი კ.თ. თაღლითობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, 7.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეებს მექსიკის გავლით ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არალეგალურად გადაყვანას ჰპირდებოდა, მათ თანხას წინასწარ ართმევდა, დანაპირებს კი აღარ ასრულებდა.

საერთო ჯამში, კ.თ.-მ, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, თაღლითურად მიითვისა მოქალაქეების კუთვნილი 23.900 აშშ დოლარი და 2.600 ევრო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს.

# დაიბარებენ თუ არა შალვა რამიშვილს გამოსაკითხვაზე — რა ჩვენება მისცა ანანია გაჩეჩილაძემ




თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში ანანია გაჩეჩილაძე გამოკითხეს. საქმე ეხება სავარაუდო სექსუალურ შევიწროებას. „ქართული ოცნების" პროპაგანდისტის, შალვა რამიშვილის მამხილებელი აუდიო ჩანაწერები გაჩეჩილაძემ 2 კვირის წინ გაასაჯაროვა.

გაჩეჩილაძემ გამოძიების დაწყება არ გამორიცხა:

— გამომძიებელი ქალი იყო საკმარისად ემპათიური და, ასე ვთქვათ, ორიენტირებული ჩემი ინტერესების დაცვისკენ და გამომდინარე იმ გამოკითხვის შინაარსიდან, რაც მე მივაწოდე შსს-ს, თუ აღმოჩნდება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, დაიწყება გამოძიება. შალვა რამიშვილის გამოკითხვის ვალდებულება აუცილებლად გაჩნდება, თუ დადგინდება სისხლის სამართლის ნიშნები ამ ჩვენ ურთიერთობის ფარგლებში, — განაცხადა გამოკითხვიდან გამოსულმა ანანია გაჩეჩილაძემ.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული აუდიოჩანაწერი 2018 წლით თარიღდება და ის POSTV-ის ოფისში, რამიშვილის პირად კაბინეტში ჩაიწერა, სადაც ანანია გაჩეჩილაძე გადაცემის მოსამზადებლად დაიბარეს. ჩანაწერი 2 საათს გრძელდება — სექსუალური ხასიათის ვერბალური ძალადობის შემდეგ, ისმის, როგორ უახლოვდება შალვა რამიშვილი გოგონას, გვერდით უჯდება და ფიზიკურ შეხებას ცდილობს.

ანანია გაჩეჩილაძე ამ საუბრის დროს 22 წლისაა, შალვა რამიშვილი კი 47 წლის.

# რაგბის კავშირის გახმაურებული საქმე — რა გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ ირაკლი აბუსერიძის სარჩელზე



რაგბის კავშირის გახმაურებულ საქმეზე განაჩენი უკვე ცნობილი, მოსამართლემ სხდომა დაახლოებით 5 წუთში დაასრულა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატის, ირაკლი აბუსერიძის სარჩელი.

2020 წლის 30 დეკემბერს ბორჯღალოსანთა ყოფილი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე რაგბის კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს, მაგრამ საჯარო რეესტრმა მას უფლებამოსილება შეუჩერა.

— არ ვეთანხმებით, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებას, 20-დან 30 დღეში დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იმედია მივიღებთ, გავასაჩივრებთ, წინ არის 2 ინსტანციის სასამართლო და ამით არ მთავრდება ყველაფერი, — თქვა აბუსერიძის ადვოკატმა. აბუსერიძის თქმით, ბრძოლას არ შეწყვეტს მანამ, სანამ სიმართლეს არ დაამტკიცებს.

# ადვოკატი: „სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებული აქვს, მაგრამ ივანიშვილი მაინც ვერ ახერხებს აქტივებზე წვდომას"



**ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ლაშა კალანდაძე ბიძინა ივანიშვილის Credit Swiss საქმეებთან დაკავშირებით განახლებულ ინფორმაციას ავრცელებს. როგორც ადვოკატი აღნიშნავს, ბიძინა ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებული აქვს, 2023 წლის 20 მარტიდან დღემდე ვერ ახერხებს აქტივებზე წვდომას.**

— უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი, აგრეთვე, ბანკის მიერ დაარსებული ტრასტები აცნობიერებენ, რომ მათმა უკანონო და დანაშაულებრივმა ქმედებებმა გამოიწვიეს ზიანი, მოსარჩელეთა კანონიერი ინტერესების დარღვევა და მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან ხელოვნური დაბრკოლებები, რომ დროში გაჭიანურდეს მათი მხრიდან ვალდებულებების შესრულება.



საზოგადოების ყურადღებას გავამახვილებთ უკანონო, მათ შორის, დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილი ფულადი სახსრებისა და აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებების თაობაზე.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი არის, ბიძინა ივანიშვილმა დანაშაულს გადარჩენილი თანხების დიდი ნაწილი გადაიტანა სხვა შვეიცარიულ ბანკში. Credit Suisse-ს აღნიშნული თანხებთან მიმართებით რაიმე ინტერესი ველარ ექნებოდა, რადგან თანხები, როგორც ითქვა, აღარ ირიცხებოდა Credit Suisse-ში, ის გადატანილი/განთავსებული იყო სხვა ბანკში. სხვა ბანკში გადატანილი აქტივების მმართველად კი დარჩა Credit Suisse-ის ტრასტი, დაფუძნებული გენზის კუნძულზე.

ტრასტის ფუნქცია ბენეფიციარების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება რომ არის, დამატებით აღარ გავამახვილებთ ყურადღებას. უნდა ითქვას, რომ ტრასტი თავის ვალდებულებებს მეტ-ნაკლები წარმატებით თავს ართმევდა 2022 წლის მარტამდე.

შემდეგ ეტაპობრივად შეიცვალა ტრასტის დამოკიდებულება თავისი ვალდებულების შესრულების მიმართულებით.

ტრასტი სხვადასხვა უსაფუძვლო/გამოგონილი/ხელოვნური მიზეზებით შეეცადა, მინიმუმ, თავისი პასუხისმგებლობის შესრულების დროში გაჭიანურებას და, მაქსიმუმ, მის თავიდან არიდებას.

აღნიშნული კი გამოიხატა შემდეგში:

ტრასტმა, თავდაპირველად, თანხების გადმორიცხვის შეფერხების საფუძვლად მიუთითა „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენები".

ტრასტი ორი თვის განმავლობაში აღნიშნული მიზეზით უარს ამბობდა თანხების გადმორიცხვაზე.

შემდეგ ტრასტმა, თანხა რომ არ გადმოერიცხა, ახალი საბაბი, ევროპარლამენტის 2022 წლის ივნისის რეზოლუცია, მოიმიზეზა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ ევროპულ საბჭოს არ ჰქონდა რეზოლუცია გაზიარებული.

აშკარა იყო, რომ ტრასტი ცდილობდა, არ შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულის გამო მოსარჩელეთა მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტრასტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

საქმის განხილვა დაინიშნა 2022 წლის სექტემბერში. სხდომები გადაიდო არაერთხელ (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2023 წლის მარტი). საქმის არსებითი განხილვა დასრულდა 2023 წლის 20 მარტს.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ტრასტის ლიკვიდაცია ხდება მხარეთა შორის შეთანხმებით, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. გამონაკლისი კი არის მხოლოდ ორი შემთხვევა: (1) როდესაც არის აზრთა სხვადასხვაობა ტრასტის მართვის ხარჯების ანაზღაურებასთან მიმართებით ან/და (2) როდესაც არის შეუთანხმებლობა ტრასტის ბენეფიციარებს შორის ტრასტის ლიკვიდაციასთან და აქტივების განაწილების წესთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა არც აზრთა სხვადასხვაობა ხარჯებთან მიმართებით (არსებობდა თანხმობა ტრასტის მიერ შემოთავაზებულ დაანგარიშების ფორმულასთან დაკავშირებით) და არც უთანხმოება ბენეფიციარებს შორის ტრასტის ლიკვიდაციასთან მიმართებით. პირიქით, არსებობდა ბენეფიციართა ერთობლივი სურვილიც და მოთხოვნაც. მიუხედავად იმისა, რომ ტრასტის ლიკვიდაცია უნდა განხორციელებულიყო მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ტრასტმა უარი განაცხადა აღნიშნულ შეთანხმებაზე და მიუთითა, რომ ტრასტის ლიკვიდაციისთვის საჭირო იყო სასამართლოსთვის მიმართვა.

როგორც წესი, ერთდღიან სასამართლო პროცესებს აქვს ადგილი, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. მიუხედავად აღნიშნულისა, ტრასტი მაქსიმალურად შეეცადა და, შეიძლება ითქვას, რომ თავისი უსაფუძვლო და ხელოვნური სტრატეგიული ნაბიჯებით მიაღწია საქმის განხილვის გაჭიანურებას.

ჩვენი ადგილობრივი ადვოკატები (გენზის კუნძული) ფიქრობდნენ, რომ საქმის განხილვა ტრასტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დასრულდებოდა ერთ დღეში, თუმცა მათი იმედები არ გამართლდა.

შემდეგ ელოდებოდნენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით ხელმისაწვდომი იქნებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში, თუმცა მოლოდინი ამ მიმართულებითაც გაუცრუვდათ.

შეიძლება ითქვას, რომ რჩებათ შთაბეჭდილება, რომ როგორც ხდებოდა ხელოვნურად საქმის განხილვის გაჭიანურება, ისე ხდება პროცედურების დაბრკოლება გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების მიმართულებითაც.

ფაქტიურად, გამოდის, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგა წვდომა აქტივების, მათ შორის, ფულადი სახსრების დიდ ნაწილზე, თუმცა იმის გამო, რომ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული, ვერ ხერხდება სასამართლო გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლების, აქტივებზე წვდომის, პრაქტიკული რეალიზება. ამდენად, ბიძინა ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებული აქვს, 2023 წლის 20 მარტიდან დღემდე ვერ ახერხებს აქტივებზე წვდომას.

და ბოლოს, გაცნობებთ, რომ მაქსიმალურად შევეცდებით მოვახდინოთ საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე საქმეებთან მიმართებით, — აცხადებს ადვოკატი.

# სროლა ჟვანიას ქუჩაზე — დაკავებულია ერთი პირი




პროკურატურამ თბილისში, ჟვანიას ქუჩაზე მომხდარი დაპირისპირებისას სროლის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. როგორც საგამოძიებო უწყების განცხადებიდან ირკვევა, ბრალდებული პოლიციამ 9 აპრილს დააკავა:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 7 აპრილს, ჟვანიას ქუჩის მიმდებარედ მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებისას, ბრალდებულმა მის სახელზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, ერთჯერადად გაისროლა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირი 9 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს უკვე მიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება დაპირისპირებაში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# მტკვარმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა

თბილისში, მდინარე მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს – მაშველებმა ცხედარი მარცხენა სანაპიროზე რამდენიმე წუთის წინ ამოიყვანეს. მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ცნობილია, რომ ცხედარი მდინარემ გამორიყა.

# ქუთაისში მოქალაქემ თვითმკვლელობა სცადა, წითელი ხიდიდან გადახტომას აპირებდა

ქუთაისში, წითელ ხიდზე მოქალაქე თავს იკლავდა. ადგილზე სამართალდამცველები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული.



მოქალაქე მდინარეში პროტესტის ნიშნად გადახტომას აპირებდა, მაგრამ სამართალდამცველებმა და მაშველებმა მისი გადარწმუნება შეძლეს.

— დავინახეთ, რომ მოქალაქე წითელი ხიდიდან გადახტომას აპირებდა, პოლიცია და მაშველები მალევე მოვიდნენ და საბედნიეროდ, მას თვითმკვლელობის მცდელობა გადააფიქრებინეს, — აცხადებს თვითმხილველი.

# 30-ე საჯარო სკოლას გურამ რჩეულიშვილის სახელი მიენიჭება

თბილისის საკრებულოს სხდომაზე №30 საჯარო სკოლისთვის ქართველი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე იმსჯელეს.

თბილისის საკრებულოს ინფორმაციით, საკითხი საკრებულოს წევრებს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა. როგორც კახა ლაბუჩიძემ განაცხადა, აღნიშნული თხოვნით დედაქალაქის საკრებულოს №30 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ მიმართა.

— იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ რჩეულიშვილი თბილისის №30 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, აღნიშნული სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. მწერლის ღვაწლი ფასდაუდებელია. მისმა შემოქმედებამ და ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ დიდი კვალი დაამჩნია ქართული პროზის განვითარებას. ის თავის თაობაში გამორჩეული ახალგაზრდა იყო, თავისი ცხოვრებისეული და მწერლური სტილით. შესაბამისად, უნდა დაფასდეს მისი წვლილი სამშობლოს წინაშე, — განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

საკრებულოს წევრებმა სკოლის სახელდებას მხარი დაუჭირეს. წარმოდგენილი საკითხი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნება.

# დონბასი ცეცხლშია გახვეული



ზამთარი მიიწურა. ჩავარდა პუტინის გეგმები დონბასის და მთელი უკრაინის სამხრეთის ოკუპაციის თაობაზე. ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვი ამა წლის იანვარში აცხადებდა, რომ უკვე 2 თებერვალს ბახმუტზე რუსული დროშა აღიმართებოდა, თებერვლის ბოლოსათვის კი რუსეთის არმია ბახმუტში შევიდოდა და მთელ დონბასს, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქებს დაიკავებდა. ამას ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსიც იზიარებდა. მათ შორის უნდა გამოვყოთ აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ის აცხადებდა, რომ დონბასი, აგრეთვე მთელი უკრაინის სამხრეთი, რუსულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული და ეს ტერიტორია თურმე ისტორიულად რუსეთს ეკუთვნოდა.

– ქალაქები ოდესა, ხერსონი და ნიკოლაევი რუსების აშენებულია! ამიტომ არავითარ ტრაგედიას არ ვხედავ იმაში, რომ ამ მხარეზე რუსეთის დროშა აღიმართოს! ამით მხოლოდ ისტორიული სამართლიანობა აღდგება! – თქვა ტრამპმა.

დავტოვოთ ეს განსაზღვრა სკანდალურად ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსის სინდისზე. ჩვენი მხრივ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ რუსულმა არმიამ ვერავითარ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია. პუტინის გეგმა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ბახმუტთან ბრძოლები გრძელდება. ავდეევკისა და მარინკის აღებაც რუსებმა ვერ შეძლეს.

ბახმუტში რუსეთმა ტაქტიკა კვლავ შეცვალა. ოკუპანტები ქალაქში შეჭრას აღარ ცდილობენ, ახლა მათ დაიწყეს სახლების და ქუჩების მიზანმიმართული განადგურება. რაკეტებს პირდაპირ სახლებს უშენენ. მსგავს ტაქტიკას რუსეთი იყენებდა სირიაში.

პუტინმა თავისი არმიის წინაშე მოკლე და ლაკონური ამოცანა დასვა: როგორც ბახმუტი, ისე ავდეევკა და მარინკა აღდგომამდე უნდა იყოს აღებული.

ოკუპანტები ვერც ამჯერად გახდნენ რაიმეს. უკრაინელები ელვისებურ კონტრშეტევებს ახორციელებენ. მათ აიძულეს ოკუპანტები, დაეტოვებინათ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრასა. პუტინის ბრძანების შესრულების ალბათობაც მცირეა.

ასევე სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასა და მარინკასთანაც. ჩაიშალა რუსების მცდელობა, „კოტიოლში" მოექციათ ავდეევკა. არ გამოვიდა მარინკის აღებაც. სამაგიეროდ, ოკუპანტები მხოლოდ მარინკასთან დღეში 300-400 ჯარისკაცს კარგავენ. სულ უკრაინის ფრონტზე ყოველდღე 1500 რუსი ჯარისკაცი იღუპება.

ბრძოლა გრძელდება. დონბასი ცეცხლშია გახვეული. მთელი დემოკრატიული მსოფლიო კი უკრაინული არმიის კონტრშეტევის მოლოდინშია.

# უკრაინელები პარტიზანულ მოქმედებებს განაგრძობენ

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ბრძოლებია. რუსი ოკუპანტები აქ თავდაცვაზე არიან გადასულნი. ისინი სანგრებს თხრიან არა მხოლოდ ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპირებულ ნაწილებში, არამედ ყირიმშიც.

უკრაინელები კვლავინდებურად პარტიზანულ მოქმედებებს განაგრძობენ. ზაპოროჟიე– ხერსონის ოლქების ოკუპირებულ ნაწილებში აფეთქებები არ წყდება. რუსული ბაზები ერთიმეორეს მიყოლებით ფეთქდება. უკრაინელები ფიზიკურად უსწორდებიან კოლაბორაციონისტებს. საუბარია ე.წ. პოლიციის უფროსებზე, მათ დამქაშებზე და ა.შ.

– უკრაინაში ტერორმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ალბათ აუცილებელია სიკვდილით დასჯის აღდგენა, რათა ეს ტალღა რამდენადმე მაინც შევამციროთ, – აცხადებს დიქტატორი პუტინი.

მიუხედავად ასეთი მუქარისა, ტერაქტები ძლიერდება. მეტიც, სულ უფრო ხშირად გაისმის აფეთქებები დროებით ოკუპირებულ ყირიმის ტერიტორიაზე.

ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდისო, ნათქვამია. ყირიმშიც პარტიზანული მოძრაობა ძლიერდება.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.644, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 7.038, არტილერია – 2.765, თვითმფრინავები – 307. განადგურებულია 182.000 ოკუპანტი.

# ბანკების 78 წლის მძარცველი მორიგ დანაშაულზე ჩავარდა

აშშ-ში დააპატიმრეს მისურის შტატის მკვიდრი, 78 წლის ქალი, რომელიც 46 წლის განმავლობაში მესამედ ჩავარდა ბანკის ძარცვაზე.



ოთხშაბათს, 5 აპრილს ბონი გუჩი ქალაქ კანზას-სიტიში ბანკის განყოფილებაში შევიდა და მოლარეს გადასცა ბარათი, რომელშიც მისთვის ფულის გადაცემას მოითხოვდა. 2020 წელს ის შეეცადა იგივე მეთოდით გაეძარცვა ქალაქ ლის-სამიტში მდებარე ბანკი. მაშინ პოლიციაში გუჩის შვილმა დარეკა. მან განაცხადა, რომ მისი მშობელი „მთლად ჭკუაზე" ვერ იყო და გარკვეული დროის წინ ის სახლიდან გაბრაზებული წავიდა. ამის წინ კი მან განაცხადა, რომ ბანკის გაძარცვას აპირებდა. ქალი შემთხვევის ადგილზე დააპატიმრეს და პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ გუჩი 1977 წელს იგივე დანაშაულისთვის კალიფორნიაში გაასამართლეს.

ამჯერად მას ბრალად ედება ბანკის ძარცვის ან გაძარცვის მცდელობა, 25 ათასი დოლარის გასატაცებლად. ქალი ციხეში იმყოფება, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მომხდარის გამოძიებას აწარმოებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბაიდენს პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნება სურს



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ სურს 2024 წელს პრეზიდენტობაზე კენჭი ხელახლა იყაროს. ამის შესახებ მან ნბს-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა.

– ოფიციალურად ამისი თქმა ნაადრევია, – ამბობს ბაიდენი.

# ვინ იყრის კენჭს ტრამპის მაგივრად?

როგორც ცნობილია, აშშ-ის ექსპრეზიდენტ ტრამპის საქმე სასამართლოშია გადაცემული. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ტრამპმა უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი არ იყაროს.

– ტრამპის მაგივრად შესაძლოა რესპუბლიკელებიდან პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს დესანტისმა, – მიიჩნევს სიენენი.

დესანტისი ნეორეიგანელთა ფრთას განეკუთვნება. ის რუსეთის მიმართ უფრო ხისტი პოლიტიკის მომხრეა, ვიდრე ბაიდენი.

# აფეთქება მოსკოვის ცენტრში

მოსკოვის ცენტრში აფეთქება მოხდა. შემთხვევის ადგილი გარშემორტყმულია პოლიციითა და მეხანძრეებით. აფეთქების მიზეზები უცნობია. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არაა.

ამავე დღეს პოდმოსკოვიეში, სოფელ ნახაბადინოში სათადარიგო ნაწილების საწყობში აფეთქება მოხდა. შედეგად გაჩნდა მასშტაბური ხანძარი. საწყობი მთლიანად განადგურდა .

– ყოველივე უკრაინელი ტერორისტების ნახელავია! – განაცხადა დიქტატორმა პუტინმა.

# რუსეთში სახელმწიფო ღალატისათვის სასჯელი მკაცრდება

რუსეთის დუმის კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოს ღალატისათვის სასჯელის გამკაცრებას ითვალისწინებს. ამიერიდან ღალატისათვის თხუთმეტწლიანი პატიმრობაა გათვალისწინებული.

– რუსეთი უცხოეთის აგენტებითაა სავსე! მეტის მოთმენა შეუძლებელია! – განაცხადა დიქტატორმა პუტინმა.

# მოლდოვაში დიდი ეროვნული კრების მოწვევა სურთ



მოლდოვაში პრორუსული ძალები გააქტიურდნენ. პრეზიდენტმა მაია სანდუმ განაცხადა, რომ მოლდოვის ევროინტეგრაციას საფრთხე ემუქრება.

– ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ეროვნული კრების მოწვევა. დაე, ხალხმა თავად გადაწყვიტოს, სურს ევროინტეგრაცია თუ არა, – თქვა სანდუმ.

მოლდოველთა 42%-ს ევროინტეგრაცა სურს, ხოლო 40%-ს ევრაზიულ კავშირში შესვლა. პოლიტიკოსებიდან ყველაზე დიდი რეიტინგი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აქვს. მას 43% ემხრობა. მეორეზეა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი (40%). მაია სანდუ კი მხოლოდ მესამეა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ვეფხვმა ყვავილების შემგროვებელი მამაკაცი მოკლა

ინდოეთში, მახარაშტრას შტატში ვეფხვმა დაგლიჯა მამაკაცი, რომელიც ტყეში ყვავილების შეგროვებით იყო დაკავებული.

მტაცებელი ცხოველის ადამიანზე თავდასხმა სამშაბათს, 4 აპრილს სოფელ ტუკუმის მახლობლად მოხდა. მამაკაცი სახელად არუნ რენდხი დილით წავიდა ტყეში, რათა იქ ყვავილები შეეგროვებინა, რომლისგანაც შემდეგ ზეთს ხდიან.

მას შემდეგ, რაც მამაკაცი საღამოს სახლში არ დაბრუნდა, მისი ნათესავები მეზობლებთან ერთად მის ძებნას შეუდგნენ. მალე მათ მამაკაცის ცხედარს მიაგნეს. გაირკვა, რომ იმ არემარეში ვეფხვი დაძრწოდა და დიდი ალბათობით სწორედ მან იმსხვერპლა ინდოელი.

რენდხის ცხედარი შემთხვევის ადგილიდან სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და რეინჯერებმა გამოიტანეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაღუპულის ოჯახს კომპენსაციის სახით 20 ათასი რუპია გადაუხადეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სპორტი

### შედეგები

10 აპრილი
ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰადერსფილდი-ბლექბერნი ... 2:2
ბირმინგემი-სტოკი ... 0:0
ვესტ ბრომვიჩი-ქპრ ... 2:2
კარდიფი-სანდერლენდი ... 0:1
ქოვენთრი-უოტფორდი ... 2:2
ლუთონი-ბლექპული ... 3:1
ნორვიჩი-როტერჰემი ... 0:0
პრესტონი-რედინგი ... 2:1
უიგანი-სუონსი ... 0:2
ჰალი-მილუოლი ... 1:0
ბრისტოლი-მიდლსბრო ... 2:2
ბარლი-შეფილდი ... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-ხირონა ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 23 | 3 | 2 | 53-9 | 72 |
| 2.რეალი | 28 | 18 | 5 | 5 | 59-24 | 59 |
| 3.ატლეტიკო | 28 | 17 | 6 | 5 | 45-20 | 57 |
| 4.სოსიედადი | 28 | 15 | 6 | 7 | 37-26 | 51 |
| 5.ვილიარეალი | 28 | 14 | 5 | 9 | 37-26 | 47 |
| 6.ბეტისი | 28 | 13 | 6 | 9 | 34-29 | 45 |
| 7.ბილბაო | 28 | 11 | 7 | 10 | 38-29 | 40 |
| 8.ოსასუნა | 28 | 10 | 8 | 10 | 24-28 | 38 |
| 9.რაიო | 28 | 9 | 10 | 9 | 33-33 | 37 |
| 10.სელტა | 28 | 9 | 9 | 10 | 36-39 | 36 |
| 11.ხირონა | 28 | 9 | 8 | 11 | 42-42 | 35 |
| 12.მალიორკა | 28 | 9 | 7 | 12 | 25-30 | 34 |
| 13.სევილია | 28 | 8 | 8 | 12 | 33-44 | 32 |
| 14.კადისი | 28 | 7 | 10 | 11 | 23-40 | 31 |
| 15.ხეტაფე | 28 | 7 | 9 | 12 | 27-36 | 30 |
| 16.ალმერია | 28 | 8 | 6 | 14 | 34-48 | 30 |
| 17.ვალიადოლიდი | 28 | 8 | 5 | 15 | 23-47 | 29 |
| 18.ვალენსია | 28 | 7 | 6 | 15 | 30-34 | 27 |
| 19.ესპანიოლი | 28 | 6 | 9 | 13 | 34-46 | 27 |
| 20.ელჩე | 28 | 2 | 7 | 19 | 20-57 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ანდორა ... 0:0

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-სპალი ... 1:3
ბრეშა-ტერნანა ... 1:0
ზიუდტიროლი-ბარი ... 0:1
კომო-ჯენოა ... 2:2
პერუჯა-მოდენა ... 0:1
რეჯინა-ვენეცია ... 1:0
ფროზინონე-ასკოლი ... 2:0
ჩიტადელა-პარმა ... 0:1
პიზა-კალიარი ... 0:0
პალერმო-კოზენცა ... 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ანსი-ვალანსიენი ... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-შავიში ... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-უმრანიე ... 3:1
ქარაგუმრუქი-ფენერბახჩე ... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-კოპენჰაგენი ... 1:0
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ... 2:1
მიდტიულანდი-ლუნგბიუ ... 1:0
ოლბორგი-ოდენსე ... 2:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვერნამო-მიალბი ... 0:1
აიკი-ნორჩიოპინგი ... 0:3
ვარბერგი-ელფსბორგი ... 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

რუსენბორგი-ვიკინგი ... 1:0
ალესუნდი-ვალერენგა ... 0:1
სარპსბორგი-ბოდო ... 0:2
სტაბეკი-ოდი ... 0:0
ტრომსო-მიოლდე ... 1:0
ჰამ კამი-სანდერფიორდი ... 2:0
ბრანი-ჰაუგესუნდი ... 3:0


## მალამო მენტორი პირველი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაციების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

**ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.**



## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა კალაძე: „კვარაცხელია საქართველოში ნამდვილი გმირია"

**თბილისის მერი, კახა კალაძე იტალიაში 2001-10 წლებში მილანში, ხოლო 2010-12 წლებში კი, ჯენოაში თამაშობდა. აქედან გამომდინარე, კალაძე იტალიური ფეხბურთისთვის კარგად ნაცნობი ფიგურაა და საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა იქაურ მედიასთან ისაუბრა.**

**კახა კალაძე:**

– კვარაცხელიას ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნია. მას აქვს თვისებები, რაც ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აქცევს. ასაკიდან გამომდინარე, დიდი მომავალი ელოდება. ხვიჩა მაგალითია იმისა, რომ უნდა ვიმუშაოთ და გვჯეროდეს ახალგაზრდების. საქართველოში ნამდვილი გმირია და ბავშვებისთვის მაგალითია, რათა მათაც ბევრი იმუშაონ, რომ მიზნებს მიაღწიონ. ტექნიკურად კვარა სრულყოფილი ფეხბურთელია, ყველაფერი აქვს: ძალა, სისწრაფე, დრიბლინგი და კარსაც სწორად ხედავს.

***– ჩემპიონთა ლიგის ფინალები გაქვთ ნათამაშები. როგორ გაიხსენებ?***

– იუვენტუსთან ჩემპიონთა ლიგის ფინალი ისტორიასა და საფეხბურთო წიგნში შევიდა. მილანის ტიფოზები მაშინ ძალიან გავახარეთ. სტამბოლის ფინალში კი, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, სიურეალისტური თამაში იყო. უბრალოდ, ბურთს ინგლისელთა კარში შესვლა არ უნდოდა. მახსოვს დამატებით დროში შევას დარტყმა, როდესაც მათმა მეკარემ წარმოუდგენელი სეივი გააკეთა. პენალტების სერიას ფსიქოლოგიურად დაღლილები შევხვდით. სამწუხაროდ, ისე დამთავრდა, როგორც ყველამ იცის. მესამე ფინალში კონცენტრირებული და სოლიდური გუნდი ვიყავით. უკვე ვიცოდით, როგორი გუნდი იყო ლივერპული, ამიტომაც, მენტალურად სრულად მზად ვიყავით.

***– კვარაცხელიასთვის პირველი სეზონია, გასულ წელს იგივე გაიარა პორტუგალიელმა რაფაელ ლეაუმ.***

– კვარას საოცარი სეზონი აქვს, არ ეტყობა, რომ პირველი სეზონია სერია ა-ში, თითქოს იტალიაში 3 წელი მაინც აქვს ნათამაშები. ვფიქრობ, მის შესანიშნავ თამაშში დამსახურება სპალეტისაც მიუძღვის. კი, კვარაცხელია და რაფაელ ლეაო გარკვეულწილად ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ არის განსხვავებებიც. ჩემი სურვილით რომ დავაკომპლექტო გუნდი, ორივეს სიამოვნებით ავიყვანდი. ლეაოს მარცხნივ დავაყენებდი, კვარას – მარჯვნივ. ორივე მათგანს აქვს „ლეტალური იარაღი". გარდა ამისა, ისინი შესანიშნავად უქმნიან სივრცეებს თავდამსხმელებს.

ლეაუ დამანგრეველი ფეხბურთელია. როგორც ყოფილი მცველი ვამბობ, რომ მისი მეურვეობა პრობლემაა, მას წარმოუდგენელი ფიზიკური უნარები აქვს, აქვს ძალა, დარტყმა. მილანში განვითარება და ევროპაში თავის პოზიციაზე სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის ყოფნა შეუძლია. შორიდან რომ ვუყურებ, მგონია, რომ მისი ამჟამინდელი სუსტი წერტილი არის ის, რომ ზოგჯერ კონცენტრაციის ხარვეზები აქვს,



მაგრამ ეს ყველას ემართება. ის შესანიშნავი ფეხბურთელია.

***– სერია ა-ში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს – ლუკა ლოჩოშვილი, რომელიც ამპლუით მცველია.***

– საქართველოში ყოველთვის გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებსაც აქვთ ის, რაც საჭიროა იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში თამაშისთვის. ლოჩოშვილი ახალგაზრდა მცველია, ფიზიკურად ძლიერი, ცაცია. მას შეუძლია გაზრდა და კარგად თამაში. ფეხბურთში, თუ აკადემიებში კარგად მუშაობენ, შედეგიც მოდის, არ აქვს მნიშვნელობა ეროვნებას, საინტერესო მოთამაშეები პატარა ქვეყნებშიც არიან. სულ ახლახან საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 17 წლის გაბრიელ სიგუას, რომელიც ძალიან ნიჭიერია და ნამდვილად იმსახურებს ევროპული კლუბებისგან ყურადღებას.

***– ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი მილანში?***

– ჩემპიონთა ლიგის პირველად მოგება და მილანურ დერბიში გოლია, ასევე კარგად მახსენდება, ყოველ ჯერზე გახარებული კურვა სუდის დანახვა.

***– „სან სიროზე" თამაში როგორი იყო?***

– „სან სირო" ჩვენთვის ყოველთვის მე-12 მოთამაშე იყო. როცა მილანში თამაშობ, გულშემატკივრების იმედების გაცრუება არ შეგიძლია. ყოველთვის 110% უნდა გაიღო და შემდეგ შედეგიც მოდის.

***– ნაპოლიმ მილანთან 0:4 წააგო. წინ კი ჩემპიონთა ლიგის ჯახი ელით. ვის მიანიჭებთ უპირატესობას?***

– ყოველი თამაში განსხვავებულია, თავისი ისტორია აქვს. ნაპოლისა და მილანისთვისაც საკვანძო მომენტია, ისინი დეტალურად იცნობენ ერთმანეთს და ვინც ამ ფაქტორს უკეთ გამოიყენებს, ნახევარფინალშიც ის გავა. ნაპოლის გამოცდილი ფეხბურთელები და მწვრთნელი ჰყავს, დარწმუნებული ვარ, რომ მეორე დღესვე განიხილეს ეს თამაში და ეცოდინებათ, როგორ უნდა ითამაშონ სათანადო კონცენტრაციით, რაც ჩემპიონთა ლიგაზე საჭიროა.

# საქართველო საევროპოდ დაირაზმა

15-23 აპრილს, სომხეთის დედაქალაქი ერევანი, ძალოსნობაში ევროპის 2023 წლის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ევროპირველობაზე საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით გამოვა. ეს იმითიც არის განპირობებული, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის ჩასათვლელ ქულებს იძლევა.

ერევნის ფიცარნაგზე 9 ქართველი იასპარეზებს: რამინ შამილიშვილი (55კგ), შოთა მიშველიძე, გოდერძი ბერდელიძე (ორივე 61), კახი ასანიძე (73), ირაკლი გობეჯიშვილი (96), ირაკლი ჩხეიძე (102), გიორგი ჩხეიძე, ზაზა ლომთაძე (ორივე 109) და ლაშა ტალახაძე (+109).

სარეზერვო სიაში არიან: გოგა ჩხეიძე, გურამ გიორბელიძე (ორივე 67), ბაქარ თურმანიძე (+109), მარიამ მაისურაძე (49), ნათია გადელია (81) და ანასტასია ჰოტფრიდი (+87).

გასულ ევროპირველობაზე ქართველი ძალოსნების მონაგარი კი 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი იყო. ევროპის ჩემპიონი ტალახაძე გახდა; ვერცხლი მიშველიძეს, ასანიძესა და გიორგი ჩხეიძეს ერგოთ; ბრინჯაოს მედლები – დავითაძესა და ჰოტფრიდს.

# საქართველოს ქალთა ნაკრებს ანტმანი გაწვრთნის

საქართველოს ქალთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ეროვნულ გუნდს ირის ანტმანი უხელმძღვანელებს.

47 წლის სპეციალისტს ისრაელიდან 13-წლიანი სამწვრთნელო კარიერა აქვს. ანტმანი ხუთი წლის განმავლობაში ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, აგრეთვე ხელმძღვანელობდა ისრაელის 17 და 19 წლამდე გოგონათა ნაკრებებს.




ანტმანი ისრაელის ახალგაზრდულ საფეხბურთო აკადემიაში 7 წლის განმავლობაში გოგონათა ასაკობრივი გუნდების ხელმძღვანელი იყო. საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ისრაელის ნაკრებში მეკარის პოზიციაზე 13 წელი თამაშობდა და მისი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი იყო. ირის ანტმანი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2024 წლის ბოლომდე იმუშავებს.

**ირის ანტმანი:**

– მჯერა, რომ შრომით, თავდადებით და დისციპლინით ჩვენ ისეთ გუნდს შევქმნით, რომლითაც მთელი ერი იამაყებს.

ირის ანტმანი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2024 წლის ბოლომდე იმუშავებს. ის ამჟამად ჩრდილოეთ მაკედონიაშია 19-წლამდელ გოგონათა ნაკრების მატჩებზე დასასწრებად.

2 მაისს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას ერთა ლიგის 2023-24 წლის გათამაშების წილისყრა გაიმართება. საქართველოს ნაკრები ც ლიგაში იასპარეზებს. მატჩები 20 სექტემბრიდან დ 5 დეკემბრის ჩათვლით შედგება.

# ქუთაისურ დერბიში აიამ იმარჯვა



ქუთაისურ დერბიში აიამ არესი 16:6 დაამარცხა და დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის ფლეი ოფის მეორე ეტაპზე გავიდა.

რეგულარული გათამაშება აიამ მე-3 ადგილზე დაასრულა, არესმა – მეექვსეზე, თუმცა რადგან „აია არენა" ორივე გუნდისთვის მშობლიურია, აია მასპინძლის სტატუსით პირობითად სარგებლობდა.

მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორივე გუნდის მორაგბეები ნერვიულობდნენ და ხშირი იყო ტექნიკური წუნი, რამაც სანახაობრივი მხარე დააკნინა. აია თავიდანვე დაეუფლა სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ქულებში ვერ ასახა. აიას დებიუტში შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ შორიდან შესრულებული ჯარიმა არაზუსტი იყო. არესი მხოლოდ პირველი ტაიმის შუაში მიუახლოვდა მეტოქის 22-ს და გიორგი თევდორაძის ჯარიმით დაწინაურდა. მალე მასვე მორიგი დარტყმა გაუცუდდა.

ტაიმის ბოლოს არესი მოედანზე კაცნაკლული დარჩა – ყვითელი ბარათი რეზი არჩვაძემ მიიღო, მაგრამ მეტოქის შეტევებს გაუძლო და ტაიმი 3:0 მოიგო.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე აიამ შეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და დაწინაურება. 48-ე წუთზე ოვალი მარცხენა ფრთაზე, თემურ კოხოძემდე ჩათამაშდა, რომელიც მბოჭავს გვერდით ხაზთან დაუსხლტა და ლელომდე ირბინა. ნიკა ლონტმა გარდასახვის შემდეგ ჯარიმაც გაიტანა. არესს ერთი ჯარიმა გაუცუდდა, ბურთი ძელმა აისხლიტა, თუმცა 66-ე წუთზე თევდორაძემ კარის წინიდან მაინც შეძლო სხვაობის 3 ქულით შემცირება.

დასკვნით წუთებში აიამ მეტოქის მისსავე ნახევარზე გამოკეტვა შეძლო, ორი ჯარიმა გამოიმუშავა, რომლებიც შეცვლაზე შესულმა ბონდო აბაშიძემ 6 ქულად აქცია და საკუთარ გუნდს 16:6 მოაგებინა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე აიას ფრთა ოთარ მეტრეველი გახდა.

არესმა მიმდინარე სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა. აია კი, საჩემპიონო ბრძოლას აგრძელებს და 23 აპრილს, „აია არენაზე" ბათუმს დაუხვდება.

თავის მხრივ, საქართველოს ჩემპიონმა ბათუმმა, დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის ფლეი ოფის პირველ ეტაპზე ბოლნისის ყოჩები 17:13 დაამარცხა და ტიტულის დაცვას აგრძელებს.

ზღვისპირეთში გამართული მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და დაძაბული გამოდგა. მასპინძლები მეტოქეზე მეტხანს აკონტროლებდნენ ბურთს და ერთით მეტი ლელო გაიტანეს.

თამაში მაღალ ტემპში, ბათუმელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე მამუკა ნინიძემ ჯარიმით ანგარიში გახსნა. განახლდა თუ არა შეხვედრა, სტუმრებმა მეტოქე წნეხში მოაქციეს, რომან მახათაძემ კარის წინ ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა, ლაშა მალაღურაძემ კი გარდასახა. ნინიძეს მე-17 წუთზე მეორე დარტყმა გაუცუდდა, ტაიმის შუაში კი ბათუმმა შეძლო ყოჩების 22-ში ფეხის მოკიდება და 32-ე წუთზე მოლის შემდეგ ბექა მამრიკიშვილმა საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო ნინიძემ გარდასახა – 10:7.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბათუმს კიდევ ერთი ძალისმიერი ლელოს გატანა შეეძლო, მაგრამ ბოლო წამს დაჩი კოპაძემ ბურთზე კონტროლი დაკარგა. მერე ყოჩები გააქტიურდა, მართალია მალაღურაძეს შორიდან ჯარიმა გაუცუდდა, მაგრამ ერთ წუთში მასპინძლებმა სინბინით გიორგი ფრუიძე დაკარგეს და ლაშამ იქვე წონასწორობა აღადგინა, 63-ე წუთზე კი, კარის წინ, 20 მეტრიდან არეკნი გაიტანა და სტუმრები წინ გაიყვანა.

თამაში რომ განახლდა, ბათუმმა უპირატესობა დაიბრუნა. რეზი ჯინჭველაშვილის ფეხით თამაშის შემდეგ, ბურთი მიწიდან ისე ასხლტა, პირდაპირ ბექა მამრიკიშვილის ნადავლი გახდა, რომელსაც სიჩქარე აკრეფილი ჰქონდა, 25 მეტრი სწრაფად დაფარა და ჯაბა ბრეგვაძის ბოჭვის მიუხედავად, ლელო გაიტანა. ნინიძე გარდასახვიდან ზუსტი იყო. 72-ე წუთზე მალაღურაძის ფეხით თამაშის შემდეგ ბურთს უკვე ლევან გოგოლაშვილი დაეუფლა და ლელოშიც შევიდა, მაგრამ საქმეში ვიდეო-რეფერი ჩაერთო, მანამდე წესების დარღვევა დააფიქსირა და ანგარიში უცვლელი დარჩა.

ანგარიში არც დარჩენილ დროში შეცვლილა და ბათუმი ფლეი ოფის მეორე ეტაპზე გავიდა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბექა მამრიკიშვილი გახდა.

აიასა და ბათუმს შორის გამარჯვებული ლელოსა და ხარებს შორის დამარცხებულს შეხვდება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველი ქართული დამწერლობა; 2. განთავისუფლებული ყმა ძველ საქართველოში; 3. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 4. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 5. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 8. ფერადი მინის ან მარმარილოს ნატეხებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 9. პირველი ამერიკელი კოსმონავტი ქალი; 12. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 13. ავსტრალიური სირაქლემა; 16. ქართველი ნიჩბოსანი, ევროპის ჩემპიონი; 17. ყირიმის ძველი სახელწოდება; 19. მკბენარა მწერი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

**თარაზულად:** 6. ლატვიის ძველი სახელწოდება; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 15. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 18. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 21. მკვრივი ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბალი; 23. ფარული დაცინვა; 24. ასტრონომიული ხელსაწყო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტოშიბა; 2. ნიცშე; 3. სვინგი; 4. ალმაზა; 6. ბოქაული; 9. მზალო; 11. ქებურია; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარი; 17. ხიზილალა; 19. იაგუარი; 21. თემშარა; 22. შუამთა.

**თარაზულად:** 5. მონოტიპი; 7. ოგინსკი; 8. ამქარი; 10. იზაბელა; 12. ზებრა; 13. ტრევი; 14. დულაშვილი; 18. ჯრუჭი; 20. ჯალიტა; 23. დუკერი; 24. მომა; 25. მარულა; 26. თული; 27. პროექტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ემბარგო; 2. პუშკინი; 3. გიორგობა; 4. თემიდა; 5. თავთუხი; 8. ბანკეტი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 10. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. იბერია; 20. დურუჯი.

**თარაზულად:** 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. ბარონი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ტრავოლტა; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ფუქსი; 23. ალგეთი; 24. ციციშვილი.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

12 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5274

ევრო — 2.7594

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1461

100 რუსული რუბლი — 3.0781

## ამინდის პროგნოზი




## ლევანდოვსკი: „ჟირონასთან კარგად არ გვითამაშია“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ჟირონას დამარცხება ვერ შეძლო და მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. მიუხედავად ამისა, ბარსელონამ ლიდერობა გაიმყარა და ამჟამად მათი უპირატესობა 13 ქულაა. მატჩის შემდეგ რობერტ ლევანდოვსკიმ თქვა, რომ მის გუნდს კარგად არ უთამაშია: „ჩვენ ვერ მოვიგეთ და ეს კარგი შედეგი არ არის, მაგრამ ისევ უნდა გავაგრძელოთ შრომა და, საბედნიეროდ, უპირატესობა გვაქვს. მინდა, რომ დარჩენილი მატჩები მოვიგოთ“.

## ანჩელოტი: „ჩელსი ძლიერი გუნდია“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჩელსისთან მატჩის წინ თქვა, რომ მას ესმის, ჩელსი ძალიან ძლიერი გუნდია და მათთან ყურადღებით უნდა იყვნენ. ანჩელოტის აზრით, მატჩის ბედს პატარა დეტალები გადაწყვეტს: „ჩელსისთან ხუმრობა არ შეიძლება და ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ მატჩის სადავეები ვაკონტროლოთ. ყველაფერი ჩვენზე იქნება დამოკიდებული“.

## სპალეტი: „მილანთან ნამდვილ ნაპოლის იხილავთ“



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ განაცხადა, რომ მილანთან მისი გუნდი სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს და გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე ეს წინა მატჩებში იყო: „მილანთან მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებით და ვიცით, რომ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. მილანი ძლიერია და მათ ჩვენ სერიოზულად ვუყურებთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება?
– წუხელის სად იყავი?
– მეგობართან ვიყავი. მთელი ღამე ჭადრაკს ვთამაშობდით.
– მერე, ვინ ვის?
– რა ვინ ვისს?! ჭადრაკს ვთამაშობდით.

•••

ერთი დაქალი მეორე შესჩივის:
– ძალიან უნიათო ქმარი მყავს.
– შენც ადექი და ძაღლის შამპუნით დაბანე.
– ეგ უშველის?
– ჩემსას მასე გავუკეთე და ისე იმოქმედა... კინალამ დამგლიჯა.

ორი დღის შემდეგ დაქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.
– ეს რა რჩევა მომეცი!
– რა მოხდა?
– რომ დავბანე, სახლში რაც კი ძეხვი გვქონდა სულ შეჭამა, მე უკანალზე მიკბინა და მერე, მეზობელ ძუკნასთან გაიქცა!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:
– იცი, რომ ჩვენი მეზობელი პროფესორი გეი ყოფილა?
– რას მელაპარაკები. ხედავ შენ? რამდენი წელია მასთან დავდივარ და არც კი ვიცოდი, თუ პროფესორი იყო!

•••

თანასოფლელის პანაშვიდზე მისული ქალი მოსთქვამს:
– აფრასიონ, ჩემ პალიკოს უთხარი, კარგად არიენოო, შენმა ბიჭმა ქალი მოიყვანათქვა და უკვე ბალანას ელოდებათქვა, შენმა წასვლამ დაგვიბუგა გულითქვა...
ამ დროს ერთ-ერთი ჭირისუფალი ეუბნება:
– დეიდა, მაგას პაწე სკლეროზი ჭირს და თითზე წითელი ძაფი შეაბი, არ დაავიწყდეს!!!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ლევან სონღულაშვილი მანჰეტენზე ახალ პროექტებს განახორციელებს



ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი მთელი ზაფხულის მანძილზე
მანჰეტენზე ახალ შემოქმედებით პროექტებს განახორციელებს:

– უბედნიერესი ამბავი! მსოფლიო მასშტაბით ხელოვანთა უდიდესი კონკურენციის მიუხედავად, ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არტ კრიტიკოსების საბოლოო გადაწყვეტილებით, ნიუ-იორკის პრესტიჟული არტ რეზიდენციის გამარჯვებული გავხდი! ცენტრალურ მანჰეტენზე, მთელი ზაფხულის მანძილზე განვახორციელებ ახალ შემოქმედებით პროექტებს. წინ დიდი შრომა და გეგმებია!

## ემირ ბურჯანაძის ნამუშევრები დედაენის დღესთან დაკავშირებით გამოიფინება



მწერალთა სახლი დედაენის დღესთან დაკავშირებით ემირ ბურჯანაძის გამოფენას „ლაზარე“ უმასპინძლებს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება გრაფიკოსი მხატვრის ნამუშევრები, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ქართულ ხუროთმოძღვრულ ორნამენტებსა და დამწერლობებს იკვლევდა.

დამთვალიერებელი ნახავს წიგნების ყდის დიზაინს, სადაც ქართველ ავტორთა სახელები ორნამენტებადაა გარდაქმნილი. ასომთავრული, ნუსხური, მხედრული ასო-ნიშნების გეომეტრიისა და თვალადობის კვლევისას ნაპოვნი ვარიაციებით, ემირ ბურჯანაძე მნახველს ამ ასო-ნიშნების მხატვრული განვითარების ულევ შესაძლებლობებზე დააფიქრებს.

გამოფენა მწერალთა სახლში 13 აპრილს გაიხსნება და 17 აპრილამდე გასტანს.

## მსახიობი ბესო მეგრელიშვილი გარდაიცვალა



58 წლის ასაკში მსახიობი ბესო მეგრელიშვილი გარდაიცვალა. იგი ფართო საზოგადოებამ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ავთოს როლის განსახიერებით გაიცნო.

სამწუხარო ინფორმაცია რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– 58 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წამყვანი მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბესარიონ (ბესო) მეგრელიშვილი.

თეატრალურ ინსტიტუტში ლილი იოსელიანის კლასის სწავლის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრში. პირველივე სპექტაკლში „ბედნიერი ბილეთი“ მიიქცია საზოგადოებისა და თეატრმცოდნეების ყურადღება. შალვა გაწერელიას თეატრიდან წასვლის შემდეგ, მუშაობა განაგრძო სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში, რეჟისორ ალექსანდრე ქანთარიასთან. სწორედ მასთან ტანდემში შექმნა გამორჩეული, დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები სხვადასხვა სპექტაკლებში, ხოლო სპექტაკლში „ლაბირინთი“ ბაბილას როლის შესრულებისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ბესო მეგრელიშვილი ცალკეულ სპექტაკლებს თამაშობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, აგრეთვე მეტეხის, რუსთავის, თავისუფალ, სამეფო უბნის თეატრებში, თეატრალურ სარდაფში.

2002 წლიდან კვლავ მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაუბრუნდა. მონაწილეობდა არაერთ სპექტაკლში. აქტიურად თანამშრომლობდა კინემატოგრაფისტებთან. გადაღებულია ფილმებში: „მეტიჩარა“, „უძინართა მზე“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „თბილისი-თბილისი“... ასევე, ტელესერიალებში: „ჩემი ცოლის დაქალები“, „ყავა და ლუდი“, „ჩვენი ოფისი“, „ჩიფსების თაობა“, „კლინიკა“...

მისთვის განსაკუთრებული იყო ინტეგრირებულ თეატრთან „აზდაკის ბაღთან“ თანამშრომლობა.

სამწუხაროა, ასეთი ახალგაზრდა შემოქმედის გარდაცვალება. მოზარდ მაყურებელთა თეატრს დააკლდა საშუალო თაობის ერთ-ერთი გამორჩეული არტისტი, რომლის შემოქმედებითი პოტენცია ჯერ კიდევ მრავალ სიურპრიზს გვპირდებოდა. სიტყვები უძლურია – 31 მარტს და 1 აპრილს სპექტაკლები ითამაშა, ხუმრობანარევად წაიწუწუნა – რაღაც ვერ ვარ კარგადო, წნევები შემომეჩვიაო...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## დოდონა ნამორაძე: „არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი არ ვარ“



მომღერალი იძულებული გახდა, ასეთი განცხადება გაეკეთებინა:

– მესმის, რომ ძალიან გინდათ ვილაცისტი ვიყო. არაა ეს ასე! არაა პრობლემა ეს შემოსევა ჩემს ფეიჯზე, პირიქით, ესე იგი ჩემი აზრი გაინტერესებთ. მე ვარ ქართველი და ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა. არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი არ ვარ, რა იარლიყებიც არ უნდა მიაწებოთ ჩემს პოსტებს. მადლობა ყველას, ვისაც ვუყვარვარ და ესმის ჩემი. მადლობა ყველას, ვისაც საქართველო უყვარს.

## ასტროპროგნოზი



12 აპრილისათვის

**ვერძი** – დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. **კურო** – მერკურის რეგრესული მოძრაობა თქვენს ფინანსებს საფრთხეს უქადის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, ბინის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდებოდეს. **ტყუპები** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **კირჩხიბი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ლომი** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის ცვლილება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში, რომელსაც მერკურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა უზრუნველყოფს. **სასწორი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **მორიელი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ ტრანსფორმაციას მშვიდად შეხვდეთ. **მშვილდოსანი** – მოგიხდებათ მოგზაურობა, მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა. კეთილისმყოფელი დღეა ხალხური მეთოდებით მკურნალობისათვის. **თხის რქა** – ზედმეტი ამბიციები მოიშორეთ და დასახული მიზნისკენ ისწრაფეთ. წარმატება თქვენს პრაქტიკულობაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ინტუიციას მიენდეთ. ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია ძლიერდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გვარი, ჯიში, მოდგმა; 2. ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 3. საჭმელი სოკო; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 9. ისტორიული მოედანი პარიზში, სადაც ხდებოდა დამნაშავეთა საჯარო სიკვდილით დასჯა; 11. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 15. რაიმე გამქრალი მოვლენის კვალი, ნაშთი; 16. მექსიკური არაყი; 17. სამხედრო ტექნიკის გამოსაცდელი ტერიტორია; 19. უაზრობა, შეუსაბამობა, სისულელე; 21. ქალაქი ბულგარეთში, სადაც იმართება იუმორის საერთაშორისო ფესტივალი; 22. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქუჩაში დამონტაჟებული სახანძრო ონკანი; 7. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 8. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 10. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 12. შუადღის საუზმის სახელწოდება აშშ-ში; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. შვეიცარული ფარმაცევტული კომპანია; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 20. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 23. მწვავე სისხლნაკლებობა; 24. ინდონეზიის კუნძული, პოპულარული საკურორტო ზონა; 25. ნავსადგური, კურორტი, ღვინის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 26. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 27. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

